აჭარის ვაზისა და ღვინის კლასტერის სტრატეგიული სამოქმედო გეგმა ითვალისწინებს მრავალფუნქციური სივრცის შექმნას კლასტერის წევრებისა და ადგილობრივი მეწარმეების პროდუქციის გამოფენისა და გაყიდვისთვის, სამუშაო და საქმიანი შეხვედრების ორგანიზებას, არაფორმალური განათლების მიღებას, ღვინისა და პროდუქციის დეგუსტაციას და ადგილობრივი და უცხოელი სტუმრების მასპინძლობას. პრიორიტეტების გათვალისწინებით და კლასტერის წევრებთან კონსულტაციების საფუძველზე, მიღებულ იქნა კაფე-მაღაზიის ტიპის სოციალური საწარმოს დაფუძნების გადაწყვეტილება. ამ მიზნით დემოკრატიის ინსტიტუტმა ოფიციალურად დააფუძნა ახალი არასამეწარმეო იურიდიული პირი სახელწოდებით „სოციალური საწარმო – მეწარმეთა განვითარების ცენტრი“. კაფე-მაღაზიის მოსაწყობად საწარმომ იჯარით აიღო ფართი ბათუმის ცენტრში (კოსტავას 7/3) და შესაბამისად აღჭურვა იგი. აქ იყიდება კლასტერის წევრებისა და სხვა ადგილობრივი მეწარმეების პროდუქცია, მათ შორის ღვინო, ჩაი, ჩირი, სოუსები, წვენები, მურაბები, ყველი, თაფლი, ხელნაკეთი ხის ჭურჭელი, სუვენირები, სხვა ტრადიციული ხელნაკეთი ნივთები და საკონდიტრო ნაწარმი. ამ პროცესის მიზანია აჭარაში ისეთი სივრცის შექმნა, რომელიც ხელს შეუწყობს მცირე მეწარმეების, მათ შორის სტარტაპების, ეკონომიკური შესაძლებლობების განვითარებას რეგიონის აგრარული და ტურისტული პოტენციალის მაქსიმალურად გამოყენების გზით.



წარმატების ისტორია



ზეინაბ თურმანიძე

ხელნაკეთი ნივთების სპეციალისტი, სტარტაპების საგრანტო კონკურსის გამარჯვებული

ზეინაბ თურმანიძე გამორჩეული კანდიდატია, რომელმაც გაიმარჯვა სტარტაპების საგრანტო მაღალკონკურენტულ კონკურსში. პროექტის გუნდმა ზეინაბის შესახებ პირველად შეიტყო დემოკრატიის ინსტიტუტში ჩატარებული ქოუჩინგის პროგრამის დროს.

პიროვნული ზრდის ამ მრავალმხრივ პროგრამაში მონაწილეობის დროს, ზეინაბმა გამოავლინა ხელნაკეთი ყვავილების დაზვეწილი ნიმუშების და სხვადასხვა საოჯახო დეკორის შექმნის საოცარი ნიჭი. მან ასევე გამოავლინა დიდი ინტერესი დიზაინის მიმართ, დიდი სურვილი ჰქონდა დიზაინერი გამხდარიყო. თავისი ოცნება რეალობად რომ ექცია, ზეინაბი ჩაირიცხა სტაჟირების პროგრამაში, მიიღო არამართო პროფესიული გამოცდილება, არამედ ასევე შეიძინა ერთგული მომხმარებლები, რომლებიც აფასებენ მის ნიჭს.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის დასაქმების სააგენტომ (EAARA) მნიშვნელოვნად დაუჭირა მხარი ზეინაბს პროფესიული სტაჟირების დროს, რამაც ხელი შეუწყო ზეინაბის პიროვნულ ზრდას და წარმატებას. სტაჟირების პროგრამის დასრულების შემდეგ ზეინაბმა მონაწილეობა მიიღო დემოკრატიის ინსტიტუტის მიერ ორგანიზებულ სტარტაპების საგრანტო კონკურსში. იგი შერჩეულ იქნა ნიჭიერ მონაწილეთა შორის, და სანამ დააარსებდა საკუთარ სტარტაპს, სამეწარმეო განათლების ინტენსიურ კურსზე ჩაეწერა.

ქედის მუნიციპალიტეტის მხარდაჭერით, ზეინაბისთვის გამოიყო დროებითი სამუშაო სივრცე. უფრო მეტიც, სტარტაპების საგრანტო კონკურსში დამსახურებული გამარჯვებით მოპოვებული გრანტით მან იყიდა თავისი საწარმოს ასამუშავებლად საჭირო აღჭურვილობა.

„ამ პროექტმა დიდი სიხარული განმაცდევინა. მძიმე შრომის დაფასება სიამაყისა და ბედნიერების წყაროა, განსაკუთრებით თუკი ეს შრომა კარგ მიზანს ემსახურება“, - ამაყად აღნიშნა ზეინაბმა.



მარინე ხინკილაძე

მკერავი, სტარტაპების საგრანტო კონკურსის გამარჯვებული

მარინე ხინკილაძემ გამოიყენა COVID-19 პანდემიით გამოწვეული სირთულეები, როგორც შესაძლებლობა, შეექმნა რაღაც გამორჩეული და საინტერესო. მან ტანსაცმლის აქსესუარებზე იმუშავა, კერძოდ, ხელნაკეთ საყელოებზე. მხატვრული გადაწყვეტა, სტილი მარინესთვის ინდივიდუალობის გამოხატვის საშუალებაა.

მარინეს პროფესიულ ცხოვრებაში გადამწყვეტი როლი შეასრულა დემოკრატიის ინსტიტუტის მიერ სტარტაპების გრანტის შემოთავაზებამ. მან გაიარა კონკურსის სხვადასხვა ეტაპები, მათ შორის, გასაუბრება სტარტაპების საგრანტო საბჭოსთან და სამეწარმეო უნარების ტრენინგი. იგი მუდმივად ავლენდა მზაობას თავისი ოცნება წარმატებულ ბიზნესად ექცია.

მის შემოქმედებას პირად ელფერს მატებს მრავალფეროვანი მასალისა და ტექნიკის გამოყენება თითოეული უნიკალური აქსესუარის შექმნის პროცესში. კერძოდ, ნაქარგების მეშვეობით ქართული ორნამენტების ჩართვა ხაზს უსვამს მის წარმომავლობას და წარმოადგენს მხატვრული გადაწყვეტის ერთგვარ თერაპიულ გზას. აღსანიშნავია, რომ პროექტის დახმარებით აუცილებელი აღჭურვილობის შეძენამ მარინეს მისცა შესაძლებლობა შეექმნა გამორჩეული ნამუშევრების მთელი სერია, რაც კიდევ ერთხელ წარმოაჩენს მეწარმეების დაფინანსების მნიშვნელობას მათი ოცნებების ხორცშესხმისთვის.

გამოფენებში ენთუზიაზმით მონაწილეობამ მარინეს მისცა თავისი ნამუშევრების საზოგადოებისთვის წარდგენის შესაძლებლობა, რის შედეგადაც მან მოიპოვა ფართო აღიარება და მზარდი მოთხოვნა თავის შემოქმედებით ნაწარმზე. მარინეს სურვილია, წარუშლელი კვალი დატოვოს ტანსაცმლის აქსესუარების სამყაროში. მისი წარმატების ისტორია შთააგონებს მეწარმეებს, ხაზს უსვამს შემოქმედებითი მიდგომის, მხარდაჭერისა და პირადი ძალისხმევის მნიშვნელობას, თუნდაც რთული პერიოდების დროს.



ლაზარე ქორთუა

მედვინე, სტარტაპების საგრანტო კონკურსის გამარჯვებული

ლაზარე ქორთუა მისი ოჯახის მედვინეობის ტრადიციის გამგრძელებელია. ის მამასა და ძმებთან ერთად ბავშვობიდან ეზიარა ამ საქმეს. თავისი გატაცების კვალდაკვალ, მან დაიწყო სამეგრელოს რეგიონისთვის დამახასიათებელი ძველი ყურძნის ჯიშების მოძიება, რათა შეძლებოდა მეგრული ჯიშების გამრავლება და მოყვანა.

ლაზარემ მოახერხა თავისი ჰობი საკუთარ პროფესიად ექცია. პროექტის ფარგლებში მიღებული გრანტით მან შეიძინა თანამედროვე აღჭურვილობა, მათ შორის ყურძნის ავტომატური წნეხი, უფრო ეფექტური დამუშავებისთვის, ღვინის ფილტრი, ჩამოსხმისა და ეტიკეტირების დანადგარი. ამ აღჭურვილობამ მნიშვნელოვნად გაამარტივა მედვინეობის პროცესი და გაზარდა მისი ღვინის წარმოება. შედეგად, ლაზარემ 2023 წელს ჩამოასხა ღვინო სახელწოდებით „Vin de Courtois“. ამას მაშინვე მოყვა დადებითი შედეგი- ღვინის მთელი პარტია შეიძინა ბიზნესმენმა დუბაიდან.

ლაზარემ თავისი პატარა მარანი ღვინის დაგემოვნების სივრცედ აქცია. სამომავლოდ მას გაფართოების ბევრად უფრო ამბიციური გეგმები აქვს. SECTORS პროექტზე მსჯელობისას, მან დიდი მადლიერება გამოხატა და აღნიშნა: „ეს შესაძლებლობა რომ არ ყოფილიყო, ალბათ ქვეყნიდან წავიდოდი და ვინ იცის, რას გავაკეთებდი ახლა. პროექტმა საშუალება მომცა მემუშავა ჩემს საყვარელ სფეროში, შემექმნა რაღაც საინტერესო და სასარგებლო. ასევე, პროექტის ფარგლებში, შევერთოდი ტურისტულ კლასტერს და მაქვს შორსმიმავალი გეგმები მეგრული ყურძნის ღვინოების ჩამოსხმისა და „Vin de Courtois“ მარნის მიმზიდველ ტურისტულ სივრცედ გადასაქცევად“.

უნარები წარმატებისთვის





ზოგადი ინფორმაცია:

პროექტის სახელი: უნარები წარმატებისთვის

პროექტის პარტნიორები: Save the Children ნიდერლანდები, კონრად ადენაუერის ფონდი, სსიპ ახალგაზრდობის სააგენტო, საქართველოს ახალგაზრდულ მუშაკთა ასოციაცია

ევროკავშირის დაფინანსება: 1,000,000 ევრო

პროექტის ვადები: 01.09.2020 – 31.08.2023

პროექტის მიზანი: წვლილი შეიტანოს ნაკლები შესაძლებლობის მქონე, დასაქმების, განათლებისა და ტრენინგების მიღმა დარჩენილი ახალგაზრდების (NEETs), განსაკუთრებით, ქალების დასაქმების ხელშეწყობაში, სახელმწიფო ძალისხმევის მხარდაჭერით თბილისში, კახეთში, შიდა ქართლში, გურიაში, რაჭა-ლეჩხუმსა და ქვემო სვანეთში.

პროექტის ბენეფიციარები: სოციალურად დაუცველი 16-26 წლის ახალგაზრდები, მათი ოჯახები, ახალგაზრდული ორგანიზაციები და მათი წევრები, დამსაქმებლები, დასაქმების ასოციაციები, და ფართო საზოგადოება, მთლიანობაში, 2000 NEET და სოციალურად დაუცველი ახალგაზრდა (60% ქალი, 40% მამაკაცი) და 20 ახალგაზრდული მუშაკი (YWs).



ძირითადი შედეგები

ტრენინგ-გავლილი სამუშაოს მაძიებლები/ახალგაზრდები: 503 NEET ახალგაზრდა (253 ქალი; 250 მამაკაცი) გაიწვრთნა სამეწარმეო უნარებში.

სამუშაოს მაძიებლები/ახალგაზრდები, რომლებმაც ისარგებლეს სტაჟირებით ან სხვა პროგრამებით: წვრთნის შედეგად, 203 ახალგაზრდამ (109 ქალმა და 94 მამაკაცმა) დაიწყო თავისი სამეწარმეო იდეების შემუშავება ინსტრუქტორების მხარდაჭერით. გარდა ამისა, 91 პირმა მოიპოვა როგორც ინდივიდუალური, ასევე ჯგუფური სტიპენდია (53 გრანტი).

ახალგაზრდების მხარდაჭერა: ხელი შეეწყო ახალგაზრდების, განსაკუთრებით ნაკლები შესაძლებლობების მქონე პირების ეკონომიკურ ჩართულობას (2327 ახალგაზრდა - 1239 ქალი და 1088 მამაკაცი).

პროფესიონალთა შესაძლებლობების განვითარება: ოცდაათი მობილური ახალგაზრდული მუშაკი (21 ქალი და 9 მამაკაცი) გაიწვრთნა ახალგაზრდებთან სავსელ სამუშაოების შესასრულებლად. გარდა ამისა, პროექტმა დაიქირავა და მოამზადა ახალგაზრდული ინოვაციური ლაბორატორიების (YIL) რვა (8) ინსტრუქტორი სამიზნე რეგიონებიდან.

მხარდაჭერილი ორგანიზაციები: პროექტმა მხარი დაუჭირა ახალგაზრდული სააგენტოს (YA) ძალისხმევას საქართველოში მობილურ ახალგაზრდა მუშაკთა სტატუსის ინსტიტუციონალიზაციასთან დაკავშირებით. 2022 წლის დეკემბერში მიღებულ იქნა სახელმწიფო ახალგაზრდული სტრატეგია 2023-2026, ეროვნული მრავალსექტორული სტრატეგია და მისი 2023 წლის სამოქმედო გეგმა.

შემუშავებული სახელმძღვანელოები და სხვა სასწავლო რესურსები/პუბლიკაციები: ეროვნულ და ადგილობრივ დონეზე არსებული დაინტერესებული მხარეებისთვის შემუშავდა და გავრცელდა შემდეგი საგანმანათლებლო რესურსები პრაქტიკოსი ახალგაზრდული მუშაკებისთვის:

- ახალგაზრდულ მუშაკთა პროფესიული ინსტრუმენტები და მეთოდოლოგიები;
- ახალგაზრდებთან მუშაობის პრაქტიკული სახელმძღვანელო;
- თვითშეფასების და თვითგანვითარების ინსტრუმენტი პრაქტიკოსი ახალგაზრდული მუშაკებისთვის;
- ახალგაზრდებთან მუშაობის კარგი მაგალითების კომპენდიუმი;
- ციფრული გაცვლის პლატფორმა youthplatform.gov.ge.

ორგანიზებული ტრენინგები/ვორკშოპები: შემუშავდა და დაინერგა ტრენინგის მოდული, რომელმაც საშუალება მისცა პროფესიონალ ახალგაზრდულ მუშაკებს მიეღოთ ის საჭირო უნარ-ჩვევები, რომლებიც შემდგომ დაეხმარა ახალგაზრდებთან არაფორმალური განათლების პროცესის ეფექტურად წარმართვაში. წვრთნის მოდული აგრეთვე ითვალისწინებდა მათი სამეწარმეო და გარემოსდაცვითი კომპეტენციების გაუმჯობესებას.

ჩატარებული დასაქმების ფორუმები: ახალგაზრდა მონაწილეთა სამეწარმეო/ბიზნეს იდეების შესაფასებლად ჩატარდა რამდენიმე „იდეათონი“.



კარგი გამოცდილების მაგალითები

მობილური ახალგაზრდული სამუშაოს მიზანია, მისცეს ახალგაზრდებს საშუალება მონაწილეობა მიიღონ მათი საჭიროებებისა და ინტერესების შესაბამის საქმიანობებში, განსაკუთრებით იმ ადგილებში, სადაც არ არის ახალგაზრდული ცენტრები და, შესაბამისად, არსებობს ახალგაზრდების სოციალური გარიყულობის საფრთხე. ახალგაზრდული მუშაობის ეს ფორმა წარმატებით გამოიყენება სხვადასხვა ქვეყანაში, როგორიცაა ირლანდია და გერმანია. საქართველოში ეს პროექტი იყო მობილური ახალგაზრდული მუშაობის გამოყენების პირველი მცდელობა და იმ მეთოდოლოგიების სწავლის, შექმნის, გამოცდისა და ადაპტირების პროცესი, რომლებიც უზრუნველყოფს ახალგაზრდული მუშაობის დამკვიდრებას სოფლად. პროექტის მიზანი იყო ახალგაზრდებისთვის ხელი შეეწყო ერთობლივი საპილოტე საქმიანობითა და თანამშრომლობით.

პროექტის ფარგლებში მობილურ ახალგაზრდულ მუშაკებს მიეცათ ადგილობრივ ხელისუფლებასთან მჭიდრო თანამშრომლობის შესაძლებლობა. ეს მხარდაჭერა გადამწყვეტი იყო, თუმცა **ახალგაზრდობის სააგენტოს** რეორგანიზაციის გამო, რამდენიმე მუნიციპალიტეტმა თავიდან თავი შეიკავა ამ პროცესში მონაწილეობისგან. ეს პრობლემა დაძლეულ იქნა ადგილობრივ ადმინისტრაციასთან ხშირი შეხვედრებით და ახალგაზრდული მუშაკების NEET ახალგაზრდებთან მუშაობის პროცესის და მიღწევების წარდგენით. თავდაპირველად, მობილური ახალგაზრდული მუშაკები საზოგადოებაში აღიქმებოდნენ როგორც ახალგაზრდა, მხიარული და მზრუნველი ადამიანები, რომლებიც გასართობ საქმიანობებს სთავაზობდნენ ახალგაზრდებს. მოგვიანებით ყველამ გააცნობიერა, რომ მობილური ახალგაზრდული მუშაკები არიან ახალგაზრდების მეგობრები, თანამოაზრეები, მრჩეველები, თავდადებული ადამიანები, რომელთაც ესმით ახალგაზრდების პრობლემები, ხელს უწყობენ მათ საკუთარი თავის გამოხატვასა და სამომავლო ამბიციების გაღვივებაში.

მობილური ახალგაზრდული მუშაობის პროცესში მნიშვნელოვანია ახალგაზრდებთან მუშაობა მათი თავშეყრის ადგილებში, რათა შეიქმნას სოციალური ქსელები და ურთიერთობები. მობილური სამუშაო მოიცავს ინფორმირებას, განმტკიცებას, საქმიანობებს, განათლებას, კონსულტაციას, და ა.შ. მეთოდების არჩევანიც ფართოა: ერთად ყოფნა, სტრუქტურირებული საქმიანობა, ინდივიდუალური მუშაობა, ინტერაქტიული მოხსენება და ა.შ., იმისდა მიხედვით, თუ რა მიზანი უნდა იყოს მიღწეული. თუმცა, მობილური ახალგაზრდული მუშაკებისთვის განსაკუთრებით რთული აღმოჩნდა NEET ახალგაზრდების ჰოვნა, ვინაიდან არ არსებობს სტატისტიკური მონაცემები მათი საცხოვრებელი ადგილის შესახებ. მათ გამოიყენეს ყველა არსებული რესურსი, მათ შორის ინფორმაცია ადგილობრივი ხელისუფლების, არასამთავრობო ორგანიზაციების, სოფლების წარმომადგენლებისა და თემის ლიდერებისგან და გაემგზავრნენ ყველაზე შორეულ სოფლებშიც კი, რათა ეპოვათ NEET ახალგაზრდები და ჩაერთოთ ისინი პროექტში. ასეთი რთული გარემოებების მიუხედავად, პროექტმა დაამტკიცა მობილურ ახალგაზრდულ მუშაკთა საქმიანობის აუცილებლობა. მათი სერვისებით მოსარგებლე ახალგაზრდებს თავის თავში რჩენია და განვითარების ახალი შესაძლებლობები გაუჩნათ.

ამ პროექტის კიდევ ერთი მნიშვნელოვანი კომპონენტია **ახალგაზრდული ინოვაციების ლაბორატორია (აილ)**. ამ მიდგომის დანერგვამ სამიზნე მუნიციპალიტეტებში გამოავლინა, რომ ახალგაზრდებს სურთ მეტი გაიგონ მეწარმეობის შესახებ. ეს მიდგომა დაინერგა რამდენიმე ქვეყანაში, რამაც ხელი შეუწყო ადგილობრივი ახალგაზრდა ლიდერების, ექსპერტებისა და მეწარმეების დაკავშირებას. მისი მიზანია, ახალგაზრდები უზრუნველყოს შესაბამისი სამუშაო სივრცეებით, სადაც ისინი შეძლებენ სამეწარმეო უნარებისა და ინოვაციური ბიზნეს იდეების გამოყენებას და ერთობლივ მუშაობას.

აილ მიდგომა მოიცავს სამთვიან ქოუჩინგის/მენტორინგის პროცესს, რომლის განმავლობაშიც პროექტის მონაწილეები ეუფლებიან მეწარმეობის საფუძვლებს, ინსტრუქტორების მხარდაჭერით განავითარებენ თავის სამეწარმეო იდეებს, მუშაობენ თავიანთ ბიზნეს გეგმებზე, და საგრანტო კონკურსის შედეგად მიღებული დაფინანსებით, ქმნიან საკუთარი პროდუქტის პროტოტიპებს. ეს პროცესი იყენებს მიდგომას „ისწავლე კეთებით“, რომელიც იძლევა საკუთარი უნარების გამოცდის და ფინანსური ცოდნის გაღრმავების შესაძლებლობას.

ამ კომპონენტმა მნიშვნელოვნად გაზარდა სამიზნე ჯგუფების სამეწარმეო შესაძლებლობები და, შესაბამისად, მათი შემოსავალიც. საბოლოო შეფასებაში ნათქვამია, რომ „ლაბორატორიის მონაწილეების, ინსტრუქტორების და პროექტის პარტნიორების თანახმად, სტიპენდია- მცირე გრანტებმა გააუმჯობესა მონაწილეების სამეწარმეო უნარები“. იმავდროულად, წარმატების ისტორიების საზოგადოებისთვის გაცნობის მიზნით, შეიქმნა აილ საინფორმაციო ბიულეტენი.

პროექტის კიდევ ერთი მნიშვნელოვანი კომპონენტი იყო **სასწავლო ვიზიტები** ევროკავშირში, რამაც ახალგაზრდებს მისცა განსხვავებული კულტურის გაცნობის, უცხოელ თანატოლებთან ურთიერთობის დამყარების და, აქედან გამომდინარე, საკუთარი თვალსაწიერისა და ცოდნის გაფართოების შესაძლებლობა. უცხო ქვეყანაში

მოგზაურობამ მონაწილეებს შესძინა დამოუკიდებლობისა და დისციპლინის ჩვევა, საკუთარ თავში რწმენა აუმაღლა და სამყარო სხვა კუთხით დაანახა.

სასწავლო ტურის მონაწილეები ბრიუსელში შეხვდნენ ევროპელ მეწარმეებს და დააკვირდნენ მათი საწარმოების სამუშაო პროცესს. ისინი გაეცნენ ბელგიაში არსებული მეწარმეობის სხვადასხვა ინოვაციურ მიდგომას, გაიდრმავეს ცოდნა მეწარმეობისა და სამეწარმეო დამოკიდებულებების შესახებ. გარდა ამისა, მათ დაამყარეს პირადი და პროფესიული კავშირები ევროპელ კოლეგებთან და ძირითად დაინტერესებულ მხარეებთან. ამ სასწავლო ტურების საშუალებით ახალგაზრდებმა მიიღეს ახალი ინფორმაცია სოციალური საწარმოების სხვადასხვა ასპექტის შესახებ, მათ შორის პოლიტიკის, ბიზნეს სტრატეგიების და მოდელების, პროდუქტის განვითარების, სოციალურად პასუხისმგებელი ბიზნესის პრინციპების, მდგრადობისა და ევროპაში გამოყენებული საუკეთესო მიდგომების შესახებ. ამრიგად, სასწავლო ვიზიტებმა ხელი შეუწყო ქართველ და ევროპელ მეწარმეებს შორის ცოდნის გაცვლას და დიალოგს, ასევე გააზრებინა მონაწილეებს ახალგაზრდულ მეწარმეობასთან დაკავშირებული საკითხების ადვოკატირების მნიშვნელობა.



წარმატების ისტორიები

მობილური ახალგაზრდული მუშაკები:



„ამ პროექტის დახმარებით შევისწავლე ჩემი სასურველი პროფესია და გავიცანი ბევრი ახალგაზრდა თანამოაზრე. რაც მთავარია, პროექტის წყალობით აღმოვაჩინე, რომ ერთ ადამიანსაც კი შეუძლია ბევრი ადამიანის ცხოვრების უკეთესობისკენ შეცვლა“.

**თამაზ ხალხელაური, მობილური
ახალგაზრდული მუშაკი ახმეტის მუნიციპალიტეტში**



„პროექტმა „უნარები წარმატებისთვის“ მომცა საგანმანათლებლო მეთოდოლოგიებისა და მიდგომების გაცნობის საშუალება. ვისწავლე, როგორ შემექმნა დამოუკიდებლად ახალგაზრდების საჭიროებებს მორგებული საგანმანათლებლო პროგრამები. ასევე განვაკვიტარე ჩემი განსჯითი აზროვნების, კომუნიკაციისა და ციფრული უნარ-ჩვევები. ამჟამად ვიყენებ პროექტის ფარ-

გლებში მიღებულ ცოდნას და გამოცდილებას, რათა შევექმნა სხვა პროექტები ჩემს საზოგადოებაში მცხოვრები ახალგაზრდებისთვის და მოვარგო ისინი მათ ინტერესებს. ასევე, პროექტის განმავლობაში დამყარებული კავშირები მეხმარება პარტნიორებთან ურთიერთობასა და საერთო პროექტების განხორციელებაში“.

გიორგი ედიშერაშვილი, მობილური ახალგაზრდული მუშაკი ლაგოდხის მუნიციპალიტეტში



„პროექტის ფარგლებში ხანგრძლივი მომზადებისა და შერჩევის შემდეგ, 2021 წელს გავხდი მობილური ახალგაზრდული მუშაკი თელავის მუნიციპალიტეტში. მუშაობის პროცესში გავიზარდე როგორც პროფესიულად, ასევე პიროვნულად. ნაკლები შესაძლებლობების მქონე ახალგაზრდებთან მუშაობა და მათთან ერთად ცვლილებების განხორციელება ღირებული საქმეა,

რომლის გაგრძელება მომავალშიც მინდა. ამ ორი წლის განმავლობაში ვთანამშრომლობდი სამთავრობო დაწესებულებებთან, კერძო სექტორთან, არასამთავრობო ორგანიზაციებთან, გავაფართოვე ჩემი ქსელი არა მხოლოდ მუნიციპალიტეტში, არამედ რეგიონშიც. ჩვენ ასევე დავესწარიტ საკვანძო უნარების განვითარების ტრენინგს, რამაც მეტი თავდაჯერებულობა შემძინა. მობილური ახალგაზრდული მუშაკები სხვადასხვა რეგიონიდან კარგი მეგობრები გავხდით. ჩვენ ვაგრძელებთ ურთიერთობას და მუდმივად ვეხმარებით ერთმანეთს.

პროექტის დასრულების შემდეგ, ახალგაზრდობის სააგენტომ გაახანგრძლივა კონტრაქტი ექვს მობილურ ახალგაზრდა მუშაკთან, მათ შორის ჩემთან. სხვა მობილური

ახალგაზრდა მუშაკები, მათი პროფესიონალიზმის მიუხედავად, არცთუ ისე იღბლიანი აღმოჩნდნენ. თუმცა, მჯერა, რომ მათ ნამდვილად სურდათ დადებითი ცვლილებების შეტანა თავიანთ მუნიციპალიტეტებში. ამიტომ შევთავაზე, რომ კახეთის რეგიონში დაეარსებინათ ახალგაზრდული ორგანიზაცია, რომელიც იმუშავებდა ახალგაზრდების განვითარებასთან დაკავშირებულ საკითხებზე. საბედნიეროდ, გასულ თვეში, მე და კიდევ სამმა მობილურმა ახალგაზრდულმა მუშაკმა შევექმენით ჩვენი საკუთარი ორგანიზაცია და უკვე დავიწყეთ კიდევ პროექტებზე მუშაობა. ღირეპტორი მე გახლავართ.

ბოლო ორმა წელმა მნიშვნელოვნად შეცვალა ჩემი ცხოვრება, რისთვისაც მე ყოველთვის მადლობელი ვიქნები ყველა ჩართული ორგანიზაციისა და დონორის.”

ანი მოსემდვდლიშვილი, მობილური ახალგაზრდა მუშაკი თელავის მუნიციპალიტეტში

მობილური ახალგაზრდული მუშაკების ბენეფიციარები

ონის მუნიციპალიტეტში მცხოვრები ოთარ გორდეზიანის ისტორია არის მაგალითი იმისა, რომ მობილურ ახალგაზრდულ მუშაკებს წარმატებით შეუძლიათ NEET ახალგაზრდების ჩართვა განათლების პროცესში. 21 წლის უმუშევარი ოთარი პროექტის დასაწყისშივე ჩაერთო არაფორმალურ საგანმანათლებლო საქმიანობებში მობილური ახალგაზრდა მუშაკების, ქეთევან აბუთიძისა და თამარ ხომასურაძის დახმარებით. ეს საქმიანობები მიზნად ისახავდა მრავალმხრივი უნარების განვითარებას. მობილურმა ახალგაზრდულმა მუშაკებმა ოთარს ასევე მისცეს დამატებითი წვრთნის შესაძლებლობა. კერძოდ, ის დაესწრო ტრენინგებს „პროფესიული ორიენტაცია და კარიერის დაგეგმვა“ და „მეწარმეობა, წინადადებების შემუშავება და დაფინანსების მოზიდვა“. გარდა ამისა, ის ასევე ჩართული იყო პროექტის ინოვაციურ სამეწარმეო ლაბორატორიებში. ამ გამოცდილებით შთაგონებული ოთარი ჩაირიცხა პროფესიული კოლეჯის „ერქვანის“ ინფორმაციული ტექნოლოგიების კურსზე. ის ასევე გახდა რაჭის ახალგაზრდული ასამბლეის (სსო ონის მუნიციპალიტეტში) საბჭოს წევრი.

ახალგაზრდული ინოვაციების ლაბორატორია (აილ) და მისი გამარჯვებულები

კახეთის რეგიონი: ახმეტა / თელავის მუნიციპალიტეტები

1. გურამ სულხანიშვილი (29) და ნანა ჭიკაძე (24) – *ხმის ჩამწერი სტუდია, 1200 ევრო*. გურამს და ნანას დიდი გამოცილება აქვთ ხმის ჩაწერაში და დიდი ხანია ოცნებობდნენ თელავში საკუთარი სტუდიის გახსნაზე. მოპოვებული გრანტით, მათ სურთ მაღალი ხარისხის მომსახურების შეთავაზება მუსიკოსებისა და სხვა დაინტერესებული პირებისთვის.

შიდა ქართლის რეგიონი: კასპი/გორის მუნიციპალიტეტები

2. ჯონდო ცერცვაძე (23) – *კიტრის წილი, 1350 ვერო*. ჯონდოს იდეა გულისხმობს კიტრის წილის წარმოებას მის სოფელში თითქმის მივიწყებული ტრადიციული მეთოდებით. წლების მანძილზე, მისი ოჯახი ამზადებდა სხვადასხვა სახის წნილებს საოჯახო რეცეპტებით, და ახლა ჯონდო ცდილობს ამ გამოცდილების ბიზნესად გადაქცევას.

გურიის რეგიონი: ოზურგეთი / ჩოხატაური / ღანჩხუთის მუნიციპალიტეტები

3. მარიამ ჯორბენაძე (17) და იური კუკულაძე (17) – საფქვაკი დანადგარი, 3250 ევრო. მიღებული გრანტით შეძენილი აღჭურვილობა განკუთვნილია თესლის, ბალახისა და სიმინდის დამუშავებისთვის, რაც მოაგვარებს ადგილობრივი თემის სხვადასხვა პრობლემას, გააუმჯობესებს სამუშაო პირობებს სოფლის მეურნეობის სექტორში და შექმნის ნარჩენების გადამუშავების შესაძლებლობებს. ასეთი ნარჩენები, რომლებსაც ადრე წვავდნენ, შეიძლება გამოყენებულ იქნას მესაქონლეობაში. მარიამს და იურის სურთ რეგიონში თავიანთი საქმიანობის შესახებ ცნობიერების ამაღლება და ამით წვლილის შეტანა გარემოს დაცვასთან დაკავშირებული საკითხების მოგვარებაშიც.

რაჭა-ლეჩხუმის და ქვემო სვანეთის რეგიონი: ამბროლაური/ონის მუნიციპალიტეტები

4. ქრისტიანა ლუხუტაშვილი (23) და ლუკა რატიანი (21) - *ავჯის ადგენის სერვისი, 800 ევრო*. ლუკა გამოცდილი რესტავრატორია, ხოლო ქრისტიანას კარგი გამოცდილება აქვს მარკეტინგში; შესაბამისად, მათი უნარები და გამოცდილება კარგი საწინდარია ბიზნესში წარმატების მისაღწევად. მათ რეგიონში არის ძველი ტრადიციული სახლები და ავეჯი, რომელიც ერთნაირად აინტერესებთ როგორც ადგილობრივ, ისე საერთაშორისო ტურისტებს. ამიტომ პროფესიონალ რესტავრატორებზე დიდი მოთხოვნაა. გრანტის მეშვეობით შეძენილი რესტავრირების სპეციალური ხელსაწყოებით, ლუკას და ქრისტიანას ამიერიდან შეუძლიათ მომგებიანი საწარმოს განვითარება.

დასაქმება, მხარდაჭერა,
კონსულტაცია შრომის
ბაზრის საჭიროებების
დასაკმაყოფილებლად
(ESCAPE)





ზოგადი ინფორმაცია:

პროექტის სახელი: დასაქმება, მხარდაჭერა, კონსულტაცია შრომის ბაზრის საჭიროებების დასაკმაყოფილებლად (ESCape)

პროექტის პარტნიორები: ფრიდრიხ ებერტის ფონდი (FES); განათლების განვითარების და დასაქმების ცენტრი (EDEC); დასაქმების ხელშეწყობის სახელმწიფო სააგენტო (SESA); დემოკრატიისა და სამოქალაქო საზოგადოების განვითარების ახალგაზრდული ასოციაცია (DDA).

ევროკავშირის დაფინანსება: 750,000 ევრო

პროექტის ვადები: 01.11.2020 – 31.10.2023

პროექტის მიზანი: თბილისში, აჭარაში, იმერეთში, კახეთში, ქვემო ქართლში, სამეგრელოსა და შიდა ქართლში ადამიანთა დასაქმება და დასაქმების შესაძლებლობების ხელშეწყობა.

პროექტის ბენეფიციარები: რთულად დასასაქმებელი პირები, დიდი ხნის მანძილზე დაუსაქმებელი ადამიანები, მარტოხელა მშობლები, ძალადობის მსხვერპლი, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები, პენსიონერები და სხვა სოციალურად დაუცველი პირები.



ძირითადი შედეგები

დასაქმებული სამუშაოს მაძიებლები: საერთო ჯამში, წარმატებით დასაქმდა 224 სამუშაოს მაძიებელი.

სამ თვეზე ნაკლები ვადით დასაქმებული სამუშაოს მაძიებელი: სამ თვეზე ნაკლები ვადით წარმატებით დასაქმდა 133 სამუშაოს მაძიებელი.

საბაზისო უნარების ტრენინგ-გავლილი სამუშაოს მაძიებლები: საერთო ჯამში, საკვანძო უნარებში გაიწვრთნა პროექტის 118 ბენეფიციარი - რთულად დასასაქმებელი პირი.

სამუშაოს მაძიებლები, რომლებსაც გაეწიათ კარიერული კონსულტაცია: კარიერული კონსულტაციებით ისარგებლა 1,869 სამუშაოს მაძიებელმა.

შეიქმნა სამი დასაქმების ხელშეწყობის ცენტრი (ESC): ორი დასაქმების ცენტრი შეიქმნა თბილისში, და ერთი - ქუთაისში.

პროფესიონალთა შესაძლებლობების განვითარება: ინტენსიური პროფესიული წვრთნა გაიარა 15 დასაქმების კონსულტანტმა. მთლიანობაში, 151 პროფესიონალმა, მათ შორის SESA-ს თანამშრომლებმა, აიმაღლა პროფესიული ცოდნა და უნარები.

მხარდაჭერილი ორგანიზაციები: 82 ბიზნესის წარმომადგენელს ჩაუტარდა ტრენინგი განსაკუთრებული საჭიროებების მქონე თანამშრომლების სწორად აღქმის უზრუნველსაყოფად. ტრენინგი ასევე მიზნად ისახავდა, რომ ბიზნესს გაეცნობიერებინა განსაკუთრებული საჭიროებების მქონე პირების დასაქმების უპირატესობა და შესაბამისი პასუხისმგებლობის აღების მნიშვნელობა.

გარდა ამისა, იმ რეგიონებში, სადაც არ არის დასაქმების ცენტრები, ორდღიანი ტრენინგი ჩაუტარდა 39 არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენელს.

შემუშავებული სახელმძღვანელოები და სხვა სასწავლო რესურსები/პუბლიკაციები: შემუშავდა შემდეგი სახელმძღვანელოები, გაიდლაინები და მოდულები:

- i) კონსულტაციისა და ქოუჩინგის ტრენინგების სასწავლო გეგმა და გაიდლაინები დასაქმების ქოუჩებისთვის;
- ii) ტრენინგის სახელმძღვანელო დასაქმების ქოუჩებისთვის;
- iii) მწვრთნელთა წვრთნის მოდულები და ტრენინგების სასწავლო გეგმის სახელმძღვანელო, ასევე მინი-მოდულები არასამთავრობო ორგანიზაციების ტრენინგებისთვის.

პოტენციურ დამსაქმებლებთან/ბიზნესთან თანამშრომლობა: წარმატებული თანამშრომლობა შედგა სხვადასხვა ორგანიზაციისა და ბიზნეს სექტორთან.



კარგი გამოცდილების მაგალითები

„ყველა ადამიანი შეიძლება დასაქმდეს“

პროექტის განხორციელებას სულისკვეთებით, რომ შესაძლებელია თითქმის ყველა ადამიანის დასაქმება, თუ მას ექნება წვდომა უნარებზე მორგებულ დასაქმების შესაძლებლობებზე. რთულად დასასაქმებელ ადამიანებთან მუშაობა არ არის იოლი. ეს რთული, თუმცა კი ძალიან ღირებული მისია შესრულდა დასაქმების კონსულტანტების დაუფალავი და თავდადებული შრომის წყალობით. ისინი მუშაობდნენ სოციალური მუშაკისა და ფსიქოლოგის დახმარების გარეშე. შესაბამისად, უხდებოდათ მნიშვნელოვანი ძალისხმევის გაწევა ზოგიერთ რთული ემოციური წარსულის მქონე პირზე დადებითი ზემოქმედების მოსახდენად და მის წასახალისებლად. პროექტი ითვალისწინებდა ინდივიდუალურ საჭიროებებზე მორგებულ მხარდაჭერას თითოეული სამუშაოს მაძიებლისთვის.

ამ პროექტის მრავალმხრივი სარგებელი არაერთი მაგალითით დადასტურდა. კერძოდ, საკვანძო უნარების ტრენინგისა და საკონსულტაციო სერვისების ზოგიერთმა ბენეფიციარმა შეძლო სამუშაოს პოვნა პროექტის შემდგომი მხარდაჭერის გარეშე. პროექტის ფარგლებში მიღებული კონსულტაციების შედეგად დასაქმებულმა ერთ-ერთმა ბენეფიციარმა საკუთარი მშობლები მოიყვანა ცენტრში კონსულტაციაზე. საბოლოო ჯამში, ოჯახის სამივე წევრი დასაქმდა.

გამოწვევებს შორის იყო ზოგიერთი ბენეფიციარის, განსაკუთრებით იმ პირების, ვინც ძალადობის მსხვერპლი იყო, მძიმე ფსიქიკური და ფიზიკური მდგომარეობა, ასევე ზოგადი ინტერესის ნაკლებობა ბიზნეს სექტორის მხრიდან, და ემიგრაციის მაღალი მაჩვენებელი, მიუხედავად გამოწვევებისა, ამ საცდელმა პროექტმა დაამტკიცა, რომ ინტენსიური კონსულტაციით და ქოუჩინგით შესაძლებელია თითოეულ სამუშაოს მაძიებელზე მორგებული დასაქმების მხარდაჭერის წარმატებით გაწევა საქართველოში.

„სწორი კომუნიკაციისა და თანამშრომლობის სარგებელი დამსაქმებლებისა და დასაქმებულებისთვის“

ბიზნეს სექტორის წარმომადგენლებთან მუშაობა ძალიან რთული აღმოჩნდა. საქართველოს ბიზნეს სექტორი არ არის მზად იმუშაოს სოციალურად დაუცველ პირებთან, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე (შშმ) პირებთან და სხვა მოწყვლად ადამიანებთან. აქედან გამომდინარე, ძალიან შეზღუდულია იმ კომპანიების რიცხვი, რომლებიც აკმაყოფილებს სოციალური პასუხისმგებლობის მოთხოვნებს. იმავდროულად, საწარმოებში ძალიან ხშირად იცვლებიან ადამიანური რესურსების მართვაზე პასუხისმგებელი პირები, რის გამოც პროექტის გუნდს მუდმივად უწევდა ახალი თანამშრომლების ცნობიერების ამაღლებაზე მუშაობა. ზოგადად, ბიზნეს კომპანიების ადამიანური რესურსების პოლიტიკა ჯერ კიდევ არ არის მიმართული მათი თანამშრომლების დაცვისა და განვითარებისკენ.

ხშირ შემთხვევაში, კომპანიები არ ასაქმებენ განსაკუთრებული საჭიროებების მქონე პირებს იმის გამო, რომ მათ არ გააჩნიათ საკმარისი ინფორმაცია, და შესაბამისად, არც იციან, თუ რა სარგებელი მოაქვს ასეთი ადამიანების დასაქმებას. მართლაც, ბიზნესი ხშირად თავს იკავებს ასეთი ადამიანების დასაქმებისგან, ვინაიდან მას მოუწევს განსაკუთრებული პასუხისმგებლობის აღება, რისთვისაც არ არის მზად. ამიტომაც, პროექტის მიმდინარეობისას, მოხდა პოტენციურ დამსაქმებლებთან ცოდნისა და გამოცდილების გაზიარება ამ საკითხთან დაკავშირებით. ამ ძალისხმევამ ნაყოფი გამოიღო და რამდენიმე პოტენციურმა დამსაქმებელმა წარმატებით ითანამშრომლა დასაქმების ცენტრებთან.



წარმატების ისტორია



მონიკა არღვლიანი

პროექტ ESCape-ის ბენეფიციარი

მონიკა არღვლიანი: იმედიდან წარმატებულ დასაქმებამდე

26 წლის მონიკამ, რომელიც არის ევროკავშირის მიერ დაფინანსებული ESCape პროექტის ბენეფიციარი, დასაქმების ხელშეწყობის ცენტრის შესახებ შეიტყო თავისი მეზობლისგან, რომელიც თავად წარმატებით დასაქმდა ამ ცენტრის მეშვეობით. მონიკას ფინანსურად უჭირდა დიდი ხნის მანძილზე უმუშევრობის გამო, და გადაწყვიტა დასახმარებლად ცენტრისთვის მიემართა.

საწყის ეტაპზე მონიკამ შეავსო უნარების, შესაძლებლობების, ძლიერი და სუსტი მხარეების შეფასების კითხვარი. ამ გზით მოპოვებული ინფორმაცია უაღრესად მნიშვნელოვანი იყო იმის დასადგენად, თუ როგორ გაართმევდა მონიკა თავს ახალ როლს და შესაბამის პასუხისმგებლობას. შემდეგი ნაბიჯი მოიცავდა მისი ინტერესების, მიზნების და მოლოდინების გაგებას. გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა მისი უნარების და ინტერესების შესაბამისობას. მას სურდა გამხდარიყო სოციალურად უფრო აქტიური, მიეღწია ფინანსური დამოუკიდებლობისთვის და მისთვის საინტერესო საქმე ეკეთებინა. მონიკას სასურველ პოზიციად ესახებოდა მოლარე-კონსულტანტის როლი, თავისი წინა გამოცდილების საფუძველზე.

ანი ტურაბელიძემ, მონიკას დასაქმების ქოუჩმა, აღნიშნა: „მონიკას შემთხვევაში, მთავარი გამოწვევა იყო საკუთარ თავში რწმენის ნაკლებობა, გადაწყვეტილების მიღებისა და პირველი ნაბიჯის გადადგმის შიში“. მათ განიხილეს დასაქმების მრავალი შესაძლებლობა, მათ შორის მონიკას საექტონო გამოცდილება, მიუხედავად იმისა, რომ მას ბოლო ხანს არ უმუშავია ამ სფეროში. რამდენიმე პირადი კონსულტაციისა და სატელეფონო საუბრის შემდეგ მონიკა მიხვდა, რომ მისთვის პიროვნული და პროფესიული ზრდა და მომავალი კარიერა ძალიან მნიშვნელოვანი იყო. შემდეგ ანი და მონიკა ერთად დაფიქრდნენ შესაბამის მიმართულებაზე და შეადგინეს სამოქმედო გეგმა.

„შემდეგი ნაბიჯი მოიცავდა რეზიუმეს დაწერას და გასაუბრებებისთვის მომზადებას“, განმარტა ანიმ. გარდა ამისა, მონიკა ასევე დაესწრო EDEC-ის მიერ გამართულ დასაქმების ფორუმს და მიიღო გასაუბრების მნიშვნელოვანი გამოცდილება. შემდგომში, ბიზნეს კონსულტანტთან თანამშრომლობით, მას ურჩიეს კონკრეტული ვაკანსია. მონიკამ წარმატებით გაიარა გასაუბრება და დასაქმდა.

განვლილ პროცესს მონიკა ასე იხსენებს: „ჩვენი თავდაპირველი შეხვედრის დროს, დასაქმების კონსულტანტმა ამიხსნა სამუშაოსთან დაკავშირებული მოთხოვნები და იმედი ჩამინერგა“. თავდაპირველად მას მოლარე-კონსულტანტად წარმოედგინა თავი, რადგან ეს სამუშაო მისთვის ნაცნობი იყო. თუმცა, მონიკას მიზანი შეიცვალა დასაქმების სპეციალისტთან კონსულტაციების შემდეგ. პროცესის საკვანძო ნაბიჯები იყო ახლის დაწყების შიშის დაძლევა, განსხვავებულ სამუშაო გარემოსთან ადაპტაცია და საკუთარ თავში რწმენის ამაღლება. ანის რჩევებმა საკუთარ თავში რწმენა ჩაუსახა მონიკას და მოტივაცია გაუჩინა უკეთესი მომავლისა და კარიერის შესაქმნელად.

ამჟამად მონიკა დასაქმებულია ექტონის დამხმარედ, იგი ფინანსურად დამოუკიდებელია და დამსაქმებელის მხრიდან დადებითი შეფასების კვალდაკვალ, ამბიციურ სამომავლო გეგმებს სახავს.

“ჩვენ ერთი წლის მანძილზე ვთანამშრომლობთ ESCape პროექტთან. ამ ინიციატივის ფარგლებში, წარმატებით დავიქირავეთ რამდენიმე ძალიან მოწადინებული ადამიანი, რაც ნათლად ვლინდება მათ პროაქტიულ მიდგომასა და მუშაობის შესანიშნავ

შედგებაში”, - აღნიშნა ლევან ტყეშელაშვილმა, თანამედროვე სამედიცინო ტექნოლოგიების დასავლეთის რეგიონული ცენტრის სამედიცინო დირექტორმა.

ადამიანთა გაძლიერება ESCape-ის პროექტით: თამარ გამრეყლიძის გზა დასაქმებამდე

ქუთაისში მცხოვრები 64 წლის თამარი პენსიაზე გასვლის შემდეგ უმუშევარი აღმოჩნდა, და ამას ძალიან განიცდიდა. საბედნიეროდ, ქალიშვილმა შეატყობინა მას ქუთაისში ევროკავშირის მიერ დაფინანსებული ESCape პროგრამის ფარგლებში შექმნილი დასაქმების ცენტრის შესახებ. ამ სიახლით გამხნეებული თამარი ქალიშვილთან ერთად ესტუმრა ცენტრს და შეხვდა თავის დასაქმების კონსულტანტს, გვანცა დაშნიანს, რომელმაც მასზე მაშინვე იმედისმომცემი შთაბეჭდილება მოახდინა.

თამარმა გაგვიზიარა საკუთარი გამოცდილება: „გვანცა მესაუბრა პროექტის შესახებ, მე კიდევ მოუყევი საკუთარ თავსა და ჩემს ინტერესებზე.“

თამარის დასაქმების ქოუჩმა გვანცამ განმარტა, რომ ზოგადად პირველადი კონსულტაციის მიზანია ბენეფიციარის შრომითი უნარების შეფასება, მათი განათლების, სამუშაო გამოცდილების და სამომავლო მისწრაფებების გათვალისწინებით. ეს შეფასება განსაზღვრავს შემდგომში გასაწევი მხარდაჭერის რაობას მომავალი დასაქმებისთვის. გვანცამ დაამატა: „კონსულტაციებით გამოვავლინეთ დასაქმების სავარაუდო სფეროები და შევიმუშავეთ ინდივიდუალური სამოქმედო გეგმა. ბიზნეს კონსულტანტის დახმარებით, თამარს შესთავაზეს მის უნარებსა და შესაძლებლობებზე მორგებული სამუშაო.“

თამარი იხსენებს, რომ რამდენიმე შესაფერისი სამუშაო ადგილი მალევე გამოჩნდა. მან გადაწყვიტა განაცხადი შეეტანა Georgian-American School Progress-ში, კაფეტერიის დამხმარე პერსონალის თანამდებობაზე, წარმატებით გაიარა გასაუბრება და დასაქმდა.

თამარმა დიდი მადლიერება გამოხატა დასაქმების ცენტრისა და, განსაკუთრებით, მისი თანამშრომლის- გვანცას- მიმართ: „ძალიან კმაყოფილი და მადლიერი ვარ იმ დახმარებისთვის, რომელიც დასაქმების ცენტრმა გამიწია. განსაკუთრებით მადლიერი ვარ ჩემი კონსულტანტის, რომელმაც გამამხნევა ამ ნაბიჯის გადასადგმელად. ძალიან შემეყვარდა ცენტრის თანამშრომლები.“

თამარის დამსაქმებელმა, Georgian-American School Progress-ის ადამიანური რესურსების სამსახურის ხელმძღვანელმა, თიქა მორჩიძემ, ხაზი გაუსვა დასაქმების ცენტრის მნიშვნელობას ნიჭიერი და ღირებული კადრების მოსაზიდად. პროექტმა ასევე საშუალება მისცა ბიზნეს სოციალური პასუხისმგებლობა აიღოს პროექტის ბენეფიციარების დასაქმებით.

თიესა მორჩადის განმარტებით: “ჩვენ ნაყოფიერად ვთანამშრომლობთ ESCape პროექტთან, ჩვენს სკოლაში არსებული ყველა ვაკანსია გაზიარებულია ქუთაისის დასაქმების ხელსეწყობის ცენტრთან. თამარი, რომელიც უკვე რამდენიმე თვეა ჩვენთან მუშაობს, ჩვენი ერთ-ერთი წარმატების მაგალითია. მოხარული ვართ, რომ მას მოსწონს სამუშაო გარემო და ჩვენს გუნდთან მუშაობა. ყოველთვის სასიამოვნოა თამართან ერთად სამუშაო დღის დაწყება. თამარის წარმატებამ სხვებიც უნდა შთააგონოს და დამსაქმებლებიც წაახალისოს, რომ უზრუნველყონ თანაბარი დასაქმების შესაძლებლობა ყველასთვის”.

ვიდეო: <https://www.facebook.com/EUEscape/videos/948883279794001>

ცოდნისა და უნარების
განვითარების ქსელებისა
და პლატფორმების
გაძლიერება
(LINKS)





ზოგადი ინფორმაცია:

პროექტის სახელი: ცოდნისა და უნარების განვითარების ქსელებისა და პლატფორმების გაძლიერება (LINKS)

პროექტის პარტნიორები: საქართველოს გაეროს ასოციაცია (UNAG) და ფონდი ღია საზოგადოება საქართველო (OSGF)

ევროკავშირის დაფინანსება: 1,000,000 ევრო

პროექტის ვადები: 16.07.20 – 31.10.23

პროექტის მიზანი: ქალებისა და მამაკაცების დასაქმების ხელშეწყობა და დასაქმება საქართველოს შერჩეულ რეგიონებში.

პროექტის ბენეფიციარები: ქალები, მამაკაცები და ახალგაზრდები, მათ შორის, დასაქმების, განათლებისა და ტრენინგების მიღმა დარჩენილი ახალგაზრდები (NEET), შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები, ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლები, საზღვრისპირა რეგიონებისა და შორეული სოფლებში მცხოვრები ადამიანები და სხვა მოწყვლადი ჯგუფები.



ძირითადი შედეგები

საკვანძო უნარების ტრენინგ-გავლილი სამუშაოს მაძიებლები: სამეწარმეო სწავლასა და ტრენინგში მონაწილეობა მიიღო სულ 390 ახალგაზრდამ (242 ქალმა; 148 მამაკაცმა), ამასთანავე რვა სტარტაპის იდეა შეირჩა ინკუბაციისა და დაფინანსებისთვის.

სამუშაოს მაძიებლები, რომლებმაც ისარგებლეს სტაჟირების პროგრამებით: პროექტის ფარგლებში სხვადასხვა კერძო, საჯარო ან არაკომერციულ ორგანიზაციებში ანაზღაურებადი სტაჟირება გაიარა 87 ახალგაზრდამ (55 ქალმა; 32 მამაკაცმა). ეს გამოცდილება შეესაბამება მათ კარიერულ ინტერესებსა და პროფესიული განვითარების შესაძლებლობებს.

დასაქმებული სამუშაოს მაძიებლები: გრძელვადიან სამუშაო პოზიციებზე დასაქმდა 51 ახალგაზრდა.

პროფესიონალთა შესაძლებლობების განვითარება: ტრენინგ კურსებში, მწვრთნელთა წვრთნასა და გაცვლით ვიზიტებში მონაწილეობა მიიღო პროფესიული სასწავლებლების 217 წარმომადგენელმა (163 ქალმა; 54 მამაკაცმა), რამაც გაზარდა პროფესიული სასწავლებლების შესაძლებლობები და სწავლების ეფექტურობა, და შექმნა თანამშრომლობის ქსელი.

მხარდაჭერილი პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებები: LINKS პროექტმა ითანამშრომლა 15 პროფესიულ სასწავლებელთან ოთხ სამიზნე რეგიონში: გურიაში, აჭარაში, ქვემო ქართლსა და შიდა ქართლში. გაფორმდა თანამშრომლობის მემორანდუმები და დაიგეგმა ტრენინგები, სახელმძღვანელოებზე მუშაობა და ა.შ.

კარიერული კონსულტაციისა და დასაქმების/სწავლის ცენტრები: საგანგებოდ შერჩეულ, გაძლიერებულ და შესაბამისად მომზადებულ ადგილობრივ სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებთან პარტნიორობით დაფუძნდა ოთხი LINKS ცენტრი. ეს ცენტრები ახალგაზრდებს სთავაზობენ საკვანძო უნარების, სამუშაოსთვის მზადყოფნის და სამეწარმეო სწავლის ტრენინგებს, ასევე კარიერულ კონსულტაციას.

შემუშავებული სახელმძღვანელოები და სხვა სასწავლო რესურსები/პუბლიკაციები: პროფესიული სასწავლებლებისთვის შემუშავდა ექვსი სახელმძღვანელო, რაც დაეხმარა პროექტის პარტნიორებს ტრენინგებისა და სწავლების მეთოდების, კომუნიკაციის, პროექტის მართვის და ციფრული პროდუქტიულობის ხარისხის გადამხედვაში.

ასევე შეიქმნა ონლაინ სწავლის პლატფორმა, რაც ქართველ ახალგაზრდებს აძლევს ტრენინგ კურსებზე წვდომას პროექტის დასრულების შემდეგ.

ასევე შემუშავდა და ელექტრონულად გამოიცა მეწარმეობის მოდული და სახელმძღვანელო და, მათი ეფექტურად გამოყენების მიზნით, გაიწვრთნა პროფესიული სასწავლებლების 150 წარმომადგენელი.

გაუმჯობესდა შრომის ბაზრის მონიტორინგის/საინფორმაციო სისტემა: პროექტის ფარგლებში შეიქმნა და შემოწმდა შრომის ბაზრის მონიტორინგის მეთოდოლოგია და ინსტრუმენტები, რომლებიც პროექტის დასრულების შემდეგ გადაეცემა დასაქმების ხელშეწყობის სახელმწიფო სააგენტოს, მდგრადობის უზრუნველსაყოფად.

უწყვატი სწავლის ხელშეწყობა: პროექტის ფარგლებში შექმნილმა „მოდრავმა სახალხო უნივერსიტეტმა“ იმოგზაურა ოთხი სამიზნე რეგიონის 90 სოფელსა და დაბაში. ლექციები მოისმინა 4,578 ახალგაზრდამ (2,816 ქალმა, 1,762 მამაკაცმა) შორეული სოფლების ყველაზე დაუცველი და შესაძლებლობას მოკლებული თემებიდან.

ორგანიზებული დასაქმების ფორუმები: ‘განათლება დასაქმებისთვის’ პროგრამის სხვა პროექტებთან პარტნიორობით ჩატარდა რამდენიმე დასაქმების ფორუმი.



კარგი გამოცდილების მაგალითები

i) შრომის ბაზრის მონიტორინგის მეთოდოლოგიისა და ინსტრუმენტის შემუშავება და დანერგვა

LINKS პროექტის ფარგლებში შემუშავდა, შემოწმდა და დაინერგა შრომის ბაზრის მონიტორინგის მეთოდოლოგია და ინსტრუმენტი. ევროკავშირის მიერ მხარდაჭერილი ‘განათლება დასაქმებისთვის’ პროგრამის ტექნიკური დახმარების ჯგუფის მიერ გაწეული კოორდინაციის წყალობით, LINKS პროექტმა გადახდა საწყის გეგმას და მეთოდოლოგიას დასაქმების ხელშეწყობის სახელმწიფო სააგენტოს საჭიროებების საპასუხოდ.

პროექტის ფარგლებში შემუშავდა მონაცემთა შეგროვებისა და დამუშავების პრაქტიკული ინსტრუმენტი. პირველადი მონიტორინგის შემდეგ შეტანილი ცვლილებების წყალობით, ინსტრუმენტი გამარტივდა და კიდევ უფრო მოქნილი გახდა.

საფუძვლიანი შემოწმების შემდეგ, პროექტმა მჭიდროდ ითანამშრომლა დასაქმების ხელშეწყობის სახელმწიფო სააგენტოსთან, რათა მისთვის გადაეცა წელიწადში ორჯერ მონიტორინგის ჩატარებისთვის საჭირო მეთოდოლოგია, ინსტრუმენტები და ცოდნა. საპროექტო გუნდი ასევე თანამშრომლობდა აჭარის ავტონომიური რეს-

პუბლიკის დასაქმების სააგენტოსთან, რათა მომხდარიყო ინსტრუმენტის მორგება რეგიონის სპეციფიკური საჭიროებებზე.

ეს თანამშრომლობა პროექტის მდგრადობისა და მისი გრძელვადიანი გავლენის საწინდარია.

ii) მეწარმეობის მოდული, სახელმძღვანელო და ცოდნის გაზიარება პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებებისთვის

პროექტის ფარგლებში შემუშავდა მეწარმეობის სრული მოდული და სახელმძღვანელო, რაც იყო თავად პროფესიულ სასწავლებლებთან, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსა და საქართველოს პროფესიული უნარების სააგენტოსთან მჭიდრო თანამშრომლობის შედეგი.

სახელმძღვანელო დაფუძნებულია უშუალოდ პროფესიული სასწავლებლებისთვის შექმნილ მეწარმეობის ახალ მოდულზე. მოდული და სახელმძღვანელო შესაბამისობაშია ევროკავშირის EntreComp-ის ჩარჩოსთან, რომელიც, თავის მხრივ, უწყვეტი სწავლის ძირითად კომპეტენციებს წარმოაჩენს.

მოდულისა და სახელმძღვანელოს გარდა, პროექტის ფარგლებში შემუშავდა პარტნიორი პროფესიული სასწავლებლების მასწავლებელთა ტრენინგის სასწავლო გეგმა. მისი მთავარი მიზანი იყო პროფესიული კოლეჯების წარმომადგენლებისთვის იმ უნარ-ჩვევებისა და ცოდნის მიწოდება, რომელიც აუცილებელია ახალი მეწარმეობის მოდულის ეფექტურად დანერგვისა და განხორციელებისთვის.

მასწავლებლებისთვის ამ საჭირო ინსტრუმენტების მიწოდებით, პროექტმა მხარი დაუჭირა სამეწარმეო განათლების ხარისხის ამაღლებას, რაც, თავის მხრივ, ხელს უწყობს მოსწავლეებში ინოვაციური შემოქმედებითი მიდგომის დანერგვას. სამომავლოდ ამ მიდგომას დადებითი ზეგავლენა ექნება სტუდენტებსა და, ზოგადად, საგანმანათლებლო სფეროზე.

iii) ახალგაზრდების უნარების გაუჯობესება დასაქმებისთვის

ახალგაზრდების უნარების გაძლიერებისა და დასაქმებისთვის, პროექტმა საქართველოს ოთხ სამიზნე რეგიონში დააარსა ე.წ. LINKS ცენტრები. ეს ცენტრები ახალგაზრდებს სთავაზობენ მხარდაჭერას კარიერული კონსულტაციებით, უნარების განვითარებითა და დასაქმების შესაძლებლობით.

LINKS ცენტრებმა მნიშვნელოვანი როლი ითამაშა 1,400 პიროვნების მხარდაჭერაში. მათგან ნახევარზე მეტი კლასიფიცირებული იყო, როგორც NEET ახალგაზრდა. პროექტმა უზრუნველყო კარიერული კონსულტაციის საჭიროებებზე მორგებული სერვისები და 600 ახალგაზრდას დაეხმარა კომპიუტერული და ციფრული განათლების მიღებაში. გარდა ამისა, 400-მა ახალგაზრდამ ისარგებლა ინგლისური ენის ექვსთვიანი კურსით, ხოლო 800-ზე მეტი ახალგაზრდა ჩაერთო საკვანძო უნარებსა და სამუშაო მზაობაზე ორიენტირებული წვრთნის პროგრამებში.

აღსანიშნავია დასაქმების პროგრამის მნიშვნელოვანი წარმატება: 87 ახალგაზრდამ მიიღო პირველი ანაზღაურებადი სამუშაო გამოცდილება LINKS-ის საშუალებით. მათგან 51 დასაქმდა.

კარიერული კონსულტაციების, უნარების განვითარებისა და დასაქმების კუთხით გაწეულმა ამ ერთიანმა ძალისხმევამ საგრძნობლად გააუმჯობესა ახალგაზრდების დასაქმების შესაძლებლობა.

iv) უწყვეტი სწავლა და საგანმანათლებლო წვდომა

LINKS პროექტმა დიდი ყურადღება დაუთმო უწყვეტ სწავლას, განსაკუთრებული ყურადღება მიექცა სამიზნე რეგიონების ყველაზე შორეულ სოფლებს.

საქართველოს პირველი რესპუბლიკის (1918-1921 წწ.) ე.წ. „სახალხო უნივერსიტეტის“ ტრადიციის მაგალითზე, პროექტმა შექმნა პლატფორმა „მოდრავი სახალხო უნივერსიტეტი“. ამგვარად პროექტმა შეცვალა ქალაქებზე ორიენტირებული მიდგომა და საკომუნიკაციო არხები. ამის ნაცვლად, მან საინტერესო, საჭიროების შესაბამისი პრაქტიკული განათლება საქართველოს ყველაზე მოწყვლად და ყურადღების მიღმა დარჩენილ თემებს შესთავაზა.

„მოდრავა სახალხო უნივერსიტეტმა“ მოინახულა საქართველოს 90 შორეული სოფელი, და ჩაატარა 660 ლექცია 4800 ადამიანისათვის. მხოლოდ ლექციებით რომ არ შემოფარგლულიყო, პროექტმა შეიმუშავა ექვს-ნაწილიანი სასწავლო გეგმა, რომელიც რამდენიმე ვიზიტის დროს განხორციელდა მონაწილეებისთვის თითოეულ თემიდან.

„მოდრავი სახალხო უნივერსიტეტის“ მისია, ინფორმაციის მიწოდების გარდა, იყო კრიტიკული აზროვნების წახალისება, სამოქალაქო საზოგადოების როლისა და მნიშვნელობის წარმოჩენა, ადგილობრივი მოსახლეობისთვის ქვეყანაში მიმდინარე სოციალური, ეკონომიკური და პოლიტიკური პროცესების გაცნობა, მარგინალიზებული თემების პრობლემების განხილვა და დადებითი ქმედების წახალისება.

გარდა ამისა, „მოდრავი სახალხო უნივერსიტეტი“ ცდილობდა შეწინააღმდეგებოდა დეზინფორმაციას, წარმოედგინა სამოქალაქო საზოგადოება, დემოკრატია, ადამიანის უფლებები და გენდერული თანასწორობა, როგორც ქართული საზოგადოების თანმდევი ღირებულებები. მკვლევართა, აკადემიკოსთა, უნივერსიტეტის ლექტორთა და სხვა გამოჩენილმა ექსპერტთა მრავალფეროვანმა გუნდმა იმოგზაურა მთელი ქვეყნის მასშტაბით, ჩაატარა ლექციები და ჩართო საზოგადოებები დისკუსიებში საქართველოს წარსულის, აწმყოსა და მომავლის შესახებ.



წარმატების ისტორიები



როგორ გარდაქმნა ევროკავშირის მიერ მხარდაჭე- რილმა LINKS პროექტმა ადამიანე- ბის ცხოვრება აჭარაში

„ჩემი ცხოვრება ორ ნაწილად იყოფა: LINKS პროექტამდე და LINKS პროექტის შემდეგ“, - ამბობს **ლელა ვანაძე**, სამი შვილის დედა ზემო აჭარიდან, რომელიც ევროკავშირის პროგრამის „განათლება დასაქმებისთვის“ ბენეფიციარია. ის ერთ-ერთია ათასობით ახალგაზრდიდან, რომელიც გა-

დამზადდა, ახალი უნარები შეიძინა და შრომის ბაზარზე მოთხოვნად კადრად ჩამოყალიბდა.

ხულოში მცხოვრებ ლელა ვანაძეს განათლების ნაადრევად მიტოვება მოუწია. „პროექტში ჩართვამდე, დედისა და მეუღლის როლით შემოვიფარგლებოდი. პანდემიის დროს აღმოვაჩინე პროექტის მიერ შემოთავაზებული ონლაინ კომპიუტერის კურსები და გადავწყვიტე ბედი მეცადა“, - იხსენებს ლელა.

ადგილობრივი LINKS ცენტრის კონსულტაციითა და მხარდაჭერით, ლელას მიეცა პირადი განვითარების შესაძლებლობა. ის ჩაირიცხა ინგლისური ენის კურსზე და გაიარა სამუშაოსთვის მზაობის აუცილებელი ტრენინგი.

„გავიარე კომპიუტერული უნარებისა და ინგლისური ენის კურსები, შემდეგ ანაზღაურებადი სტაჟირება ხულოს საჯარო ბიბლიოთეკაში. LINKS-ის პროექტი ჩემთვის იყო უდიდესი შესაძლებლობა საკუთარი თავის რეალიზებისა და საზოგადოებაში ინტეგრირებისთვის“, - აცხადებს ლელა ვანაძე.

LINKS-ის სიდრმისეული წვრთნისა და სასწავლო კურსების წარმატებით დასრულების შემდეგ, ლელა ჩაერთო პროფესიული დასაქმების პროგრამაში, და მიიღო პირველი ანაზღაურებადი სამუშაო გამოცდილება.

„ამ გამოცდილებამ შემაგულიანა, მიმეღწია უფრო დიდი მიზნებისთვის. გადავწყვიტე მიმეღო სრული საშუალო განათლება და შემდგომ მივმართე უნივერსიტეტს, რათა მესწავლა იურიდიულ ფაკულტეტზე.“- აღნიშნა ლელამ.

როგორც აღნიშნა თავისუფალ ჟურნალისტთა სახლის (LINKS პროექტის პარტნიორი ორგანიზაცია აჭარაში) წარმომადგენელმა ქეთი ადუიშვილმა, „აჭარის რეგიონში, პროექტში რეალურად ჩაერთო 500-ზე მეტი ახალგაზრდა, როგორც ფიზიკურად, ასევე ონლაინ რეჟიმში, და LINKS ცენტრების მეშვეობით მათ გაეწიათ ინდივიდუალური კონსულტაციები“. კერძოდ, ონლაინ სწავლების მეშვეობით, მთიან აჭარაში მცხოვრებმა ლელამ მიიღო პროექტის საქმიანობებში მონაწილეობისა და ფასდაუდებელი კარიერული კონსულტაციების მიღების შესაძლებლობა.

აღსანიშნავია, რომ პროექტის დასაქმების პროგრამა ძალიან წარმატებული იყო, ის ბევრ ახალგაზრდას დაეხმარა პირველი ანაზღაურებადი სამუშაო გამოცდილების მიღებაში.



24 წლის ლაშა ლომინაძე კიდევ ერთი ახალგაზრდაა, რომლის კარიერული გზა სწორი მიმართულებით წარმართა LINKS პროექტმა.

2015 წელს, უბედური შემთხვევის გამო, იგი იძულებული გახდა შეეწყვიტა სწავლა და მთელი ყურადღება ჯანმრთელობისთვის დაეთმო.

მოგვიანებით, მან გამოიყენა პროექტის ფარგლებში შემოთავაზებული უნარების განვითარების სხვადასხვა შესაძლებლობა და დასაქმდა Batumi Hilton-ში.

„LINKS ცენტრის გუნდთან ერთად გადავლახე ბევრი გამოწვევა დასაქმების შესაძლებლობის ძებნის პროცესში. ბევრმა კომპანიამ უარი გვითხ-

რა, თუმცა Batumi Hilton-მა მომცა შანსი», - იხსენებს ლაშა.

დასაქმების პროგრამის შემდეგ, Batumi Hilton-მა ლაშას შესთავაზა დასაქმება მათ ოფისში, რაზეც ის სიამოვნებით დათანხმდა.

„ლაშა დინამიური და შემოქმედებითი პიროვნებაა. მოხარული ვართ, რომ ის ჩვენი გუნდის წევრია. მჯერა, რომ ყველა ახალგაზრდა იმსახურებს წახალისებასა და დახმარებას კარიერული გზის პოვნაში“, - აღნიშნა გენო ძიძიგურმა, Batumi Hilton-ის ადამიანური რესურსების განყოფილების ხელმძღვანელმა.

ლაშამ ირწმუნა გამძლეობისა და მონდომების ძალა და ამას საგანგებოდ უსვამს ხაზს: „გამოწვევების და შეცდომების დაშვების არამც თუ არ უნდა გვეშინოდეს, არამედ ისინი უნდა განვიხილოთ, როგორც ახალი შესაძლებლობები. ჩემი დასაქმების ამბავი ადასტურებს, რომ არ არსებობს გადაულახავი დაბრკოლება“.

უკეთესი უწყვეტი
განათლების
შესაძლებლობები
ადგილობრივი
კარტნიორობის
დახმარებით
(CBLLL)





ზოგადი ინფორმაცია:

პროექტის სახელი: უკეთესი უწყვეტი განათლების შესაძლებლობები ადგილობრივი პარტნიორობის დახმარებით

პროექტის პარტნიორები: გაეროს განვითარების პროგრამა (UNDP); არაფორმალური განათლების ახალგაზრდული ცენტრი მზიანი სახლი; პროფესიული უნარების სააგენტო (VSA).

ევროკავშირის დაფინანსება: 900,000 ევრო

პროექტის ვადები: 17.09.2020 – 16.12.2023

პროექტის მიზანი: ახალგაზრდებისა და მოწყვლადი ჯგუფების დასაქმების შესაძლებლობების გაუმჯობესება შესაბამისი მოდელისა და მიდგომების ინსტიტუციონალიზაციისა და დანერგვის გზით.

პროექტის ბენეფიციარები: ახალგაზრდები, პროფესიული განათლებისა და მომზადების (VET) დაწესებულებები, სკოლის მოსწავლეები, შშმ პირები და ეკონომიკურად მოწყვლადი პირები.



ძირითადი შედეგები

ტრენინგ-გავლილი პროფესიონალები: ჩვიდმეტი პროფესიონალი გაიწვრთნა და გახდა ახალგაზრდული მუშაკი შვიდ პროფესიულ სასწავლებელსა და ორ სკოლაში.

სტუდენტები, რომლებმაც ისარგებლეს ახალი პროგრამებითა და სერვისებით: ახალი პროგრამებითა და კლასგარეშე სერვისებით ისარგებლა 320-მა სტუდენტმა.

პროფესიონალთა შესაძლებლობების განვითარება: შვიდ პროფესიულ სასწავლებელში უნარები გაიუმჯობესა 242-მა მასწავლებელმა.

მხარდაჭერილი ორგანიზაციები: მხარდაჭერილ იქნა შვიდ პროფესიულ სასწავლებელსა და 10 სკოლაში ახალგაზრდული კლუბების და ადგილობრივი უნარების ცენტრების დაარსება, ასევე კარიერული განათლების კურსის შემუშავება და სხვა საქმიანობების განხორციელება.

მხარდაჭერილი პროფესიული სასწავლებლები: განხორციელდა შვიდი პროფესიული სასწავლებლის მხარდაჭერა ახალი პროგრამებისა და სერვისების შემუშავებისა და პერსონალის შესაძლებლობების ამაღლების მიზნით.

შემუშავებული ახალი პროფესიული განათლების მოდულები/პროგრამები: შემუშავდა რამდენიმე ფორმალური და არაფორმალური განათლების კურსი.

შემუშავებული და დანერგილი ახალი პროფესიული განათლების მოდულები/პროგრამები: შემუშავდა მეწარმეობის შვიდი მოდული.

სკოლებისთვის შემუშავებული კლასგარეშე საქმიანობის მოდულები და პროგრამები: სკოლებისთვის შემუშავდა კლასგარეშე საქმიანობის რამდენიმე მოდული.

შემუშავებული სახელმძღვანელოები და სხვა სასწავლო რესურსები/პუბლიკაციები: შემუშავდა კლასგარეშე საქმიანობის პრაქტიკული სახელმძღვანელო.

ორგანიზებული ტრენინგები/ვორქშოპები: პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებებისა და სკოლების მასწავლებლებისთვის, ისივე როგორც სტუდენტებისთვის, ჩატარდა რამდენიმე ტრენინგი/ვორქშოპი.

საჯარო და კერძო სექტორების თანამშრომლობა: ქუთაისის მუნიციპალიტეტმა გამოყო თანხა 50 000 ლარის ოდენობით პროექტის მიერ ინიცირებული უნარების ცენტრის მხარდასაჭერად სამი წლის მანძილზე.



კარგი გამოცდილების მაგალითები

სამეწარმეო განათლების ჩართვა კლასგარეშე სერვისებში

სამეწარმეო განათლების მიწოდება მოხდა კლასგარეშე საქმიანობით, რამაც სტუდენტებს მისცა ცოდნისა და პრაქტიკული უნარ-ჩვევების შეძენის საშუალება. მიუხედავად იმისა, რომ კოლეჯები სამეწარმეო კურსებს ჩვეულებრივ სთავაზობენ ფორმალური პროგრამების ფარგლებში, ამ შემთხვევაში სამეწარმეო განათლების ჩართვა კლასგარეშე საქმიანობაში შედეგიანი აღმოჩნდა.

ახალგაზრდების დასაქმების ხელშეწყობის მიზნით, მზიანმა სახლმა **შეიმუშავა შერეული სასწავლო კურსი მეწარმეობის შესახებ**. კურსი ეფუძნება ევროპის სამეწარმეო კომპეტენციის ჩარჩოს (EntreComp) და ეხმარება ახალგაზრდებს სამეწარმეო უნარების განვითარებაში. კერძოდ, ციფრული სასწავლო კურსი მოიცავს: ფინანსურ მართვას; ბრენდინგსა და მარკეტინგს; კომუნიკაციას; ქსელის შექმნას; ანალიზს; ავტომატიზაციას; და სწავლის სწავლას. თეორიულ და პრაქტიკულ რესურსებს თან ერთვის ვიდეოები, რომლებიც ხელმისაწვდომია ახალგაზრდული მუშაკებისთვის მზიანი სახლის YouTube გვერდზე (<https://www.youtube.com/@user-ky2km7wc9d>). ეს რესურსები დროთა განმავლობაში აიტვირთება სწავლის მართვის სისტემაში, რომლის შემუშავებაც ამჟამად მიმდინარეობს პროფესიული უნარების სააგენტოში.

შერეული კურსის გარდა, მზიანმა სახლმა **მოამზადა ახალგაზრდული მუშაკები, რათა ისინი დაეხმარონ ახალგაზრდული კლუბის წევრებს სამეწარმეო განათლების მიღებაში**. ამ მიზნით შემუშავდა ორი მოდული ახალგაზრდული მუშაკებისთვის: „მეწარმეობისა და ბიზნეს იდეების განვითარების საფუძვლები“ და „ბიზნეს გეგმის მომზადებისა და დაფინანსების მოზიდვის სტრატეგია“. ამის შემდეგ, შეირჩა და მომზადდა **17 ახალგაზრდული მუშაკი (13 ქალი; 4 მამაკაცი)**, რათა მათ შეემუშავებინათ მითითებები კლუბებში მიმდინარე სამეწარმეო საქმიანობისთვის. ორეტაპიანი წვრთნა მოიცავდა მეწარმეობის სხვადასხვა თემას, როგორიცაა საქმიანობის განსაზღვრა, სახეობები და ტენდენციები, მეწარმეობის უპირატესობები და გამოწვევები, სამეწარმეო აზროვნება, სამეწარმეო გუნდის შექმნა, მომხმარებელთა პრობლემების გაანალიზება და ბიზნესის შესაძლებლობების გამოვლენა, იდეების შემუშავება, შემოქმედებითი და ინოვაციური მიდგომა, ღირებულება, პრობლემის გადაწყვეტა და პროდუქტის ბაზართან შესაბამისობა.

სამეწარმეო მოდულის გემიფიკაცია

სამეწარმეო სწავლების გაუმჯობესების მიზნით, UNDP მუშაობს სამეწარმეო მოდულის გემიფიკაციაზე. შესაბამისი რესურსები აიტვირთება სწავლის მართვის სისტე-

მაში და ხელმისაწვდომი იქნება როგორც სტუდენტებისთვის, ასევე მასწავლებლებისა და სხვა დაინტერესებული პირებისთვის.

არაფორმალური განათლების კურსები

21-ე საუკუნეში, სტუდენტების საგანმანათლებლო დაწესებულებებიდან სამუშაო სამყაროში შეუფერხებლად გადასვლისთვის უკვე აღარ არის საკმარისი სწავლების ტრადიციული მიდგომები და სასწავლო გარემო. აღსანიშნავია, რომ ტრადიციული სასწავლო გეგმები ვერ ახერხებს მოსწავლეებში სასიცოცხლო მნიშვნელობის მრავალმხრივი უნარების განვითარებას, რომლებიც მათ მისცემდა სხვადასხვა ვითარებაში დამოუკიდებლად ცხოვრების საშუალებას.

პროექტის ფარგლებში, პროფესიული სასწავლებლებისთვის შემუშავდა ორი არაფორმალური განათლების კურსი: ფინანსური და ეკონომიკური წიგნიერების კურსი; და ციფრული წიგნიერების კურსი.

ფინანსური და ეკონომიკური წიგნიერების კურსის მიზანია დაეხმაროს მონაწილეებს, სტუდენტებსა და სხვა დაინტერესებულ პირებს, სახსრების დამოუკიდებლად მართვაში, ფინანსური თაღლითობების ან თაღლითების ამოცნობაში, და მათზე სწრაფად და სწორად რეაგირებაში.

ციფრული წიგნიერების კურსის მიზანია დაეხმაროს მონაწილეებს, უკეთ გაიგონ და გამოიყენონ ტექნოლოგიები და ასწავლოს მათ ინტერნეტში ინფორმაციის უსაფრთხოდ და ეფექტურად მოძიების გზები. აღსანიშნავია, რომ ეს კურსი შეიქმნა DigComp პროექტის საფუძველზე, რომელიც არის ევროკომისიის მიერ შექმნილი ცნობილი ციფრული კომპეტენციის ჩარჩო.

ფინანსური და ეკონომიკური წიგნიერების კურსი პირველად ტარდება საქართველოს ოთხ რეგიონსა და ხუთ პროფესიულ სასწავლებელში. ტრენინგის პროგრამის გარდა, მწვრთნელებისა და მონაწილეებისთვის შეიქმნა დამხმარე სახელმძღვანელო და საკითხავი მასალები.

იმავდროულად, ციფრული წიგნიერების კურსი პირველად ტარდება საქართველოს ხუთ რეგიონში (მათ შორის, მთიან რაიონებში). გარდა სასწავლო პროგრამისა, ასევე შეიქმნა კურსის საგანმანათლებლო რესურსებიც. მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ ძალიან მცირეა ქართულ ენაზე არსებული ციფრული წიგნიერების საგანმანათლებლო და განმავითარებელი რესურსების რაოდენობა. ამიტომ, აუცილებელი იყო ამ რესურსების თარგმნა, ნაწილის მაინც, ინგლისურიდან ქართულად, კურსის დაწყებამდე.

განსაკუთრებული საგანმანათლებლო საჭიროებებისა და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა კარიერული ორიენტაციის სერვისი

სპეციფიკური და ინოვაციური კარიერული კონსულტაციების სერვისის მიზანია განსაკუთრებული საგანმანათლებლო საჭიროებების და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე (შშმ) პირთა მხარდაჭერა ინფორმირებული კარიერული არჩევანის გაკეთებაში. სერვისი ითვალისწინებს მონაწილეთა ინდივიდუალურ საჭიროებებს, შესაძ-

ლებლობებსა და ინტერესებს. გარდა ამისა, იგი აწვდის ინფორმაციას შრომის ბაზრის შესახებ, აწყობს შეხვედრებს დამსაქმებლებსა და კურსდამთავრებულებთან, ატარებს ვიზიტებს საწარმოებში და სთავაზობს პრაქტიკულ წვრთნას გარკვეული პროფესიებისთვის მოსამზადებლად. კარიერული ორიენტაციის სერვისი გადამწყვეტია განსაკუთრებული საგანმანათლებლო საჭიროებების და შშმ პირებისთვის, რადგან ასეთი პირები ხშირად სამუშაოს ან პროფესიას სათანადო ინფორმირებულობის გარეშე ირჩევენ. შემდეგ კი, თუ სინამდვილე არ ემთხვევა მათ მოლოდინს, ისინი იმედგაცრუებულნი რჩებიან და ტოვებენ სასწავლო პროცესს. ამ პრობლემის აღმოსაფხვრელად, კარიერული ორიენტაციის სერვისი ეხმარება განსაკუთრებული საგანმანათლებლო საჭიროებების და შშმ პირებს ინფორმირებული კარიერული გადაწყვეტილებების მიღებაში, რაც ამცირებს კოლეჯის მიტოვების მაჩვენებელს და ზრდის დასაქმების დონეს.

კარიერული ორიენტაციის სერვისის ფარგლებში განხორციელდა სხვადასხვა საქმიანობა. კერძოდ, მომზადდა მეთოდოლოგიური რესურსები და სასწავლო მოდული. გარდა ამისა, სერვისის პირველი მიწოდებისთვის ჩატარდა სამდღიანი ტრენინგი შერჩეული კოლეჯების წარმომადგენლებისთვის, კოლეჯების ინსტიტუციური გუნდების მხარდასაჭერად. პროფესიული უნარების სააგენტოს ინკლუზიური განვითარების გუნდი მონიტორინგს უწევს ამ სერვისის და ახორციელებს შესაბამის პროფესიულ ზედამხედველობასა და კონსულტაციას. ამჟამად კარიერული ორიენტაციის სერვისი პირველად ხორციელდება ექვს კოლეჯში და მისი დანერგვა იგეგმება სხვა დაწესებულებებშიც.

სერვისის მდგრადობას ხელი შეუწყო იურიდიულმა საფუძველმაც. მაგალითად, მონაწილე კოლეჯებმა განახორციელეს გარკვეული პროცედურების კოდიფიცირება შიდა დოკუმენტებში. გარდა ამისა, მომზადდა ბრძანების პროექტი „პირის განსაკუთრებული საგანმანათლებლო საჭიროებების გამოვლენისა და ინკლუზიური პროფესიული განათლების განხორციელების წესებისა და პირობების დამტკიცების შესახებ“ რომელიც ძალაში შესვლისთანავე შეეხიდება ინკლუზიური პროფესიული განათლების მარეგულირებელ წესებსა და პირობებს, კარიერული ორიენტაციის სერვისის განხორციელების პროცედურების ჩათვლით.

მუნიციპალური საკოორდინაციო საბჭოები, როგორც NEET ახალგაზრდების პრობლემებზე მუშაობის მექანიზმი

პროექტის ფარგლებში, პროფესიული უნარების სააგენტო მუშაობს დასაქმების, განათლებისა და ტრენინგების მიღმა დარჩენილი ახალგაზრდების (NEETs) წინაშე წამოჭრილი პრობლემებს აღმოფხვრაზე. ამისათვის საპილოტედ შეირჩა ორი მუნიციპალიტეტი, კერძოდ, თელავისა და ოზურგეთის. ამ მუნიციპალიტეტების შერჩევის საფუძველი იყო ადგილობრივი NEET ახალგაზრდობის მაჩვენებელი. კახეთის რეგიონში ეს მაჩვენებელი ქვეყნის საშუალო მაჩვენებელს უტოლდება, ხოლო გური-აში ეს მაჩვენებელი ერთ-ერთი ყველაზე მაღალია, რაც იძლევა ორი განსხვავებული რეგიონის ინფორმირებული შედარების საშუალებას.

ორივე სამიზნე მუნიციპალიტეტში შეირჩა დაინტერესებული მხარეები, რომლებიც მოიცავდა საჯარო, არასამთავრობო და კერძო სექტორებს. საწყის ეტაპზე ორივე მუ-

ნიციპალიტეტში განისაზღვრა სამიზნე ჯგუფები, და გამოიკვეთა NEET ახალგაზრდებთან დაკავშირებული ძირითადი მოქმედი პირები და მათი დამოკიდებულება ამ ჯგუფების პრობლემების მიმართ. ფოკუს-ჯგუფებს მოჰყვა ადგილზე ორი სამუშაო შეხვედრა, რომლებზეც მოწვეულნი იყვნენ სამივე სექტორის ძირითადი მოქმედი პირები. სემინარების მიზანი იყო, ერთი მხრივ, დაინტერესებული მხარეების ინფორმირება NEET ახალგაზრდობასთან დაკავშირებული საკითხების შესახებ და, მეორე მხრივ, იმის განხილვა, თუ რა ტიპის მექანიზმები შეუწყობდა ხელს NEET ახალგაზრდების დაბრუნებას/ჩართვას განათლებასა ან დასაქმებაში ადგილობრივ დონეზე.

ორივე მუნიციპალიტეტში მკაფიოდ გამოიკვეთა მჭიდრო უწყებათაშორისი და სექტორთაშორისი თანამშრომლობის აუცილებლობა, ასევე მხარეებს შორის მუნიციპალიტეტის დონეზე განათლებისა და დასაქმების შესაძლებლობების შესახებ ინფორმაციის სისტემური გაცვლის საჭიროება, რათა მოხდეს რაც შეიძლება მეტი ახალგაზრდის მოზიდვა.

შესაბამისად, ორივე მუნიციპალიტეტში შემუშავდა სამოქმედო გეგმა, რომლის მიხედვითაც შეიქმნება ორ-დონიანი საკოორდინაციო საბჭო. საბჭოს პირველი დონე დაკომპლექტებული უნდა იყოს დაინტერესებული მხარის/ორგანიზაციის ხელმძღვანელებით, რომლებმაც თავის თავზე უნდა აიღონ გადაწყვეტილების მიღებისა და მონიტორინგის ძირითადი ფუნქციები. ქვედა დონე წარმოდგენილი უნდა იყოს სამუშაო ჯგუფით, რომლის წევრები იქნებიან ჩართული მხარეების წარმომადგენლები. ისინი აიღებენ პასუხისმგებლობას ზედა დონის მიერ მიღებული გადაწყვეტილებების შესრულებაზე.

სწავლა, წვრთნა, მიღწევა
და კავშირების დამყარება
დასაქმებისთვის!
(ისწავლე დასაქმებისთვის!)





ზოგადი ინფორმაცია:

პროექტის სახელი: სწავლა, წვრთნა, მიღწევა და კავშირების დამყარება დასაქმებისთვის! (ისწავლე დასაქმებისთვის!)

პროექტის პარტნიორები: განათლების განვითარებისა და დასაქმების ცენტრი (EDEC), სსიპ - აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის დასაქმების სააგენტო (EAARA), თელავის განათლების განვითარებისა და დასაქმების ცენტრი (TEDEC), ინოვაციების და ცვლილებების ინსტიტუტი (ICI), აფხაზინტერკონტი (AIC).

ევროკავშირის დაფინანსება: 670,000 ევრო

პროექტის ვადები: 15.09.2020 – 14.01.2024

პროექტის ზოგადი მიზანი: განათლებიდან შრომის ბაზარზე ეფექტური გარდამავალი მოდელის პოპულარიზაცია, რომელიც ხელს უწყობს დასაქმების შედეგების გაზრდას, სოციალურ ინტეგრაციას, სიდარებისა და მოწყვლადობის დონის შემცირებას.

პროექტის ბენეფიციარები: ახალგაზრდები, ქალები, მამაკაცები, დასაქმების, განათლებისა და ტრენინგების მიღმა დარჩენილი ახალგაზრდები (NEETs), შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები (შშმ), ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლები, საზღვრისპირა რეგიონებსა და შორეულ სოფლებში მცხოვრები ადამიანები და სხვა მოწყვლადი ჯგუფები.



ძირითადი შედეგები

დასაქმებული სამუშაოს მაძიებლები: წარმატებით დასაქმდა 903 ადამიანი.

საკვანძო უნარებში გაწვრთნილი სამუშაოს მაძიებლები: საკვანძო კომპეტენციების ტრენინგი ჯამში გაიარა 1,939 სამუშაოს მაძიებელმა, რის შედეგადაც გაუმჯობესდა მათი უნარები ისეთ სფეროებში, როგორიცაა ავტობიოგრაფიის დაწერა, გასაუბრებისთვის მომზადება, სამოტივაციო წერილის შედგენა, სამუშაოს ძიება და კომპიუტერული პროგრამების ცოდნა.

სამუშაოს მაძიებლები, რომლებმაც ისარგებლეს კარიერული კონსულტაციებით: ინდივიდუალურ საჭიროებებზე მორგებული დახმარება, კონსულტაციები და კვალიფიკაციის ამაღლების შესაძლებლობები გამოიყენა 3,867 დარეგისტრირებულმა დასაქმების კანდიდატმა (2,467 ქალმა; 1,428 მამაკაცმა).

სამუშაოს მაძიებლები, რომლებმაც ისარგებლეს სტაჟირების პროგრამებით: სტაჟირების პროგრამებში მონაწილეობა მიიღო სულ 567 ადამიანმა, რამაც მათ შესაძლებლობა მისცა გადაელახათ განათლებას, პრაქტიკულ გამოცდილებასა და დასაქმებას შორის არსებული ბარიერები.

პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებში ჩართული სამუშაოს მაძიებლები: მოკლევადიან პროფესიულ საგანმანათლებლო კურსებში მონაწილეობა მიიღო ჯამში 737 ადამიანმა, მათ შეიძინეს ან აიმაღლეს საგანგებო პროფესიული უნარები და კვალიფიკაცია.

პროფესიონალთა შესაძლებლობების განვითარება: პროექტის ფარგლებში პროფესიული შესაძლებლობები აიმაღლა საჯარო და კერძო სექტორში დასაქმებულმა 43 კარიერის კონსულტანტმა, ასევე პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების 17 მასწავლებელმა.

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების მხარდაჭერა: განახლდა პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების სასწავლო რესურსები.

ამბროლაურში, ოზურგეთსა და გორში შეიქმნა კარიერული მართვისა და დასაქმების ხელშეწყობის ცენტრები.

ბათუმში, ქუთაისსა და გორში **გაძლიერდა კარიერული მართვისა და დასაქმების ხელშეწყობის ცენტრები.**

ახალი პროფესიული საგანმანათლებლო მოდულები/პროგრამები: საზღვაო, ტურიზმისა და სამშენებლო სფეროებში შემუშავდა და დაინერგა ცხრა ახალი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა.

ახალი სახელმძღვანელოები და სხვა სასწავლო რესურსები/პუბლიკაციები: შეიქმნა სახელმძღვანელო „მარნის მასპინძელი“.

დასაქმების ფორუმები: სხვადასხვა ადგილობრივ ორგანიზაციასა და თვითმმართველობასთან თანამშრომლობით მოეწყო ექვსი დასაქმების ფორუმი. შედეგად, 1522 სამუშაოს მაძიებელმა შეიტყო ადგილობრივი შრომის ბაზრის მოთხოვნების შესახებ, 103 სამუშაოს მაძიებელი დასაქმდა და 24 სამუშაოს მაძიებელი ჩაერთო სტაჟირების პროგრამებში.

საზღვაო სექტორში ჩატარდა **ბიზნეს ფორუმი**.

თანამშრომლობა პოტენციურ დამსაქმებელთან/ბიზნესთან: თანამშრომლობა შედგა 1150 დამსაქმებელთან/ბიზნეს კომპანიასთან.

გაუმჯობესდა შრომის ბაზრის საინფორმაციო სისტემა: გაუმჯობესდა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის დასაქმების სააგენტოს შრომის ბაზრის საინფორმაციო სისტემა.



კარგი გამოცდილების მაგალითები

i) სამუშაოს მაძიებელთა ინდივიდუალურ საჭიროებებზე მორგებული დასაქმების მოდელის შემუშავება საქართველოს ექვსი რეგიონისთვის.

პროექტის მიმდინარეობისას, სამუშაოს მაძიებლების ინდივიდუალური საჭიროებების დაკმაყოფილებაზე ორიენტირებულმა ექვსივე კარიერული მართვისა და დასაქმების ხელშეწყობის ცენტრმა დახმარება გაუწია სულ 3,867 სამუშაოს მაძიებელს (2,439 ქალს; 1,428 მამაკაცს), რომლებიც რეგისტრირებულნი იყვნენ პროექტის მიერ შემოთავაზებულ დასაქმების მხარდაჭერის სერვისებზე წვდომით დაინტერესებულ პირთა მონაცემთა ბაზაში. ამ ცენტრების მეშვეობით პროექტმა უზრუნველყო თითოეული სამუშაოს მაძიებლის საჭიროებებზე მორგებული დახმარება, ინდივიდუალური კონსულტაციები და უნარების განვითარება. აღსანიშნავია, რომ სამუშაოს მაძიებელთა 81%-მა, რაც შეადგენს 3132 ადამიანს, მიიღო ორი ან მეტი ინდივიდუალური კონსულტაცია. იმავდროულად, 903 პირი (539 ქალი და 364 მამაკაცი), ანუ პროექტის ბენეფიციართა 23.35%, წარმატებით დასაქმდა ცენტრების მიერ გაწეული სერვისების შედეგად.

ii) პროექტის მიერ შემუშავებული პროგრამები

ტურიზმისა და საზღვაო სექტორში მოთხოვნაზე ორიენტირებული ახალი პროფესიული პროგრამების შემუშავებისა და დანერგვის მიზნით, შეირჩა ცხრა საგანმანათლებლო დაწესებულება. შესაბამისად, შემუშავდა ცხრა პროფესიული საგანმანათ-

ლებლო პროგრამა (იხილეთ ქვემოთ), რომელთაგან თითოეული მოიცავდა 60% თეორიულ და 40% პრაქტიკულ სწავლებას. ყველა პროგრამა ავტორიზებულია განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ.

- პროგრამა „მარნის მასპინძელი“ (იმერეთი)
- პროგრამა „მარნის მასპინძელი“ (რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი)
- სამგზავრო გემის მიმტანის პროფესიული კურსი (აჭარა)
- მომსახურება და სერვისი (კახეთი)
- მომსახურება და სერვისი კვების ობიექტში (შიდა ქართლი)
- საოჯახო სასტუმროს მომსახურება (იმერეთი)
- შენობებისა და ინფრასტრუქტურის მოვლა და მართვა (აჭარა)
- გემის მიმტანი (აჭარა)
- ჩაის მასპინძელი (გურია)

iii) ბიზნეს ფორუმი საზღვაო სექტორში

ღონისძიება ორგანიზებული იყო განათლების განვითარებისა და დასაქმების ცენტრის მიერ, ბათუმის ნავიგაციის სასწავლო უნივერსიტეტსა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის დასაქმების სააგენტოსთან თანამშრომლობით, და მიზნად ისახავდა საქართველოს, როგორც საზღვაო ქვეყნის პოპულარიზაციასა და მისი როლის შეფასებას საერთაშორისო საზღვაო დასაქმებაში. ასევე განხილული იყო საზღვაო შრომის ბაზარზე არსებული გამოწვევები და ამ გამოწვევების დაძლევის პოტენციური გზები.

ფორუმს ესწრებოდნენ ძირითადი დაინტერესებული მხარეები, მათ შორის აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის, ბათუმის მერიის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს, საგანმანათლებლო დაწესებულებების, პროფესიული კოლეჯების, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების, ტურისტული ინდუსტრიის დამსაქმებლების, დასაქმების კომპანიების, პროფესიული გაერთიანებების/ასოციაციების წარმომადგენლები, საერთაშორისო და დონორი ორგანიზაციები. საერთო ჯამში, ფორუმში მონაწილეობდა 42 ორგანიზაციის 65 წარმომადგენელი, მათ შორის ცხრა უცხოელი ექსპერტი.

საზღვაო ბიზნეს ფორუმი წარმოადგენს მნიშვნელოვან ნაბიჯს საქართველოს საზღვაო პოტენციალის პოპულარიზაციის, საზღვაო ინდუსტრიის გამოწვევების გადალახვისა და ახალი შესაძლებლობების მოძიების მხრივ. ფორუმზე შეიკრიბა დაინტერესებული მხარეებისა და ექსპერტების მრავალფეროვანი ჯგუფი, საზღვაო სექტორში თანამშრომლობის მიზნით. ეს ღონისძიება უნდა გახდეს შემდგომში მსგავსი სექტორული ფორუმების ჩატარების საწინდარი.



წარმატების ისტორიები



წარმატების ისტორია შიდა ქართლიდან

„ყოველ დღე, გამთენიისას, ვიღვიძებ შემართებით აღსავსე გულით. ჩემი სამუშაო არ არის მხოლოდ მოვალეობა; ეს არის გატაცება, რომელიც ყოველ წამს სასიხარულოს ხდის.“

დარეჯან ცირაშუა


დარეჯანი პროფესიონალი მცხოვრებელია. იგი უგემრიელეს კერძებს ამზადებს Food Alliance-ის საწარმოში, რომელიც ნატახტარში, თბილისიდან 28 კილომეტრში მდებარეობს. სამზარეულოში მისი ყოველდღიური საქმიანობა თავდადებისა და სიამოვნების შემოქმედებითი ნაზავი, სიყვარულით აღსავსე შრომაა.

დარეჯანის ცხოვრება გამძლეობისა და მიზანდასახულობის მაგალითია. წარმოშობით იგი ოდესღაც ულამაზესი სოფლიდან, ხურვალეთიდან, არის. ცხოვრებაში დიდი განსაცდელი ერგო: ერთი თვის ბავშვით ხელში გაექცა ომს, და 2008 წლის 6 აგვისტოდან, თავის ოჯახთან ერთად, დაიწყო ახალი ცხოვრება დევნილთა დასახლებაში. წარსულის იარები შესაძლოა ცხოვრების ბოლომდე არ შეუხორცდეს, თუმცა მის შემართებას ვერაფერი გაანელებს.

დარეჯანმა გაბედული ნაბიჯი სრულიად ახალი მიმართულებით მაშინ გადადგა, როდესაც აღმოაჩინა ევროკავშირის მიერ დაფინანსებული პროექტი „ისწავლე და-საქმებისთვის!“. განათლების განვითარებისა და დასაქმების ცენტრი, თავისი ურყევი მხარდაჭერით, იმ მომენტიდან ეხმარება მას თავისი ოცნების ახდენაში.

პროექტის მიერ გაწეული მენტორობის შედეგად, დარეჯანმა გასაუბრებაზე ყველა მოხიბლა. დღეს ის ცვლილებისა და წინსვლის ძალის ნათელი მაგალითია: **„ყოველ დღე, გამთენიისას, ვიღვიძებ შემართებით აღსავსე გულით. ჩემი სამუშაო არ არის მხოლოდ მოვალეობა, ეს არის გატაცება, რომელიც ყოველ წამს სასიხარულოს ხდის.“**

დარეჯანის ისტორია ჰირადი ძალისხმევითა და პროფესიონალითა მხარდაჭერის წარმატებული შედეგის მაგალითია. დარეჯანი აგრძელებს გამოწვევების დაძლევის და ამტკიცებს, რომ მიზანდასახულობას და მხარდაჭერას შეუძლია ადამიანებს დაეხმაროს თითქმის ნებისმიერი დაბრკოლების გადალახვასა და საკუთარი გზის პოვნაში.



წარმატების ისტორია აჭარიდან

„კულინარია ხელოვნებაა, მზარეული კი ის არაჩვეულებრივი ხელოვანი, რომელიც დაუვინყარ გემოებს ქმნის. თითოეული კერძი ხელოვნების ნიმუშია, შემოქმედებითი წვის შედეგი.“

მადონა ხაზიური

ნიჭიერი მზარეული მადონა ხაზიური დღეს ცნობილ რესტორან „თავადურში“ მოღვაწეობს და იქ ავლენს თავის კულინარიულ უნარებს. მადონა ბავშობიდანვე იყო გატაცებული კულინარიით. მისი მოგზაურობა სამზარეულოს სამყაროში მამამისის, პროფესიონალი მზარეულის, ხელმძღვანელობით დაიწყო. სამზარეულოში უთვალავი საათის გატარების შემდეგ, მას განუვითარდა ექსპერიმენტების სიყვარული, სხვადასხვა სურნელის ერთმანეთთან შერევის სურვილი და ცოდნა დაუვინყარი კერძების შესაქმნელად.

თავისი გატაცების ხორცშესხმის ძეხნაში, მადონამ სოციალურ მედიაში აღმოაჩინა ევროკავშირის მიერ დაფინანსებული პროექტი „ისწავლე დასაქმებისთვის!“ და გამოიყენა კიდეც ეს შესაძლებლობა.

კარიერული კონსულტირებისა და დასაქმების ხელშეწყობის ადგილობრივ ცენტრში მადონამ გაიარა კონსულტაციები დასაქმების მრჩეველებთან, რამაც კიდეც ერთხელ დაარწმუნა საკუთარი გადაწყვეტილების სისწორეში. მან გააცნობიერა, რომ მისი წინა გამოცდილება ოჯახის სამზარეულოში არ იყო საკმარისი საკუთარი კულინარიული შესაძლებლობების სრულად გამოსავლენად. მადონას სჭირდებოდა პრაქტიკული ტრენინგის გავლა და სამუშაო ადგილი, სადაც შეძლებდა თავისი უნარების დახვეწას.

პროექტმა „ისწავლე დასაქმებისთვის!“ მადონას შესთავაზა მრავალმხრივი თეორიული და პრაქტიკული კურსი ცნობილ რესტორან „თავადურში“. ამგვარად, მადონამ შეისისხლხორცა ის დამატებითი ცოდნა და კულინარიული ხრიკები, რომლებიც დახელოვნებულმა კოლეგებმა გაუზიარეს. ამ ფასდაუდებელმა გამოცდილებამ მისი ოცნება რეალობად აქცია. ახლა ის ამაყად მუშაობს „თავადურში“ მზარეულად.

მადონას აზრით, „კულინარია ხელოვნებაა, მზარეული კი ის არაჩვეულებრივი ხელოვანი, რომელიც დაუვინყარ გემოებს ქმნის. თითოეული კერძი ხელოვნების ნიმუშია, შემოქმედებითი წვის შედეგი.“

მადონას მტკიცედ სჯერა, რომ ვერაფერი შეაჩერებს პროფესიული ზრდის სურვილს. მისი აზრით, წარმატების გასაღები ადამიანის მიზანდასახულობაშია, მის პირად ძაღლისხმევასა და საკუთარი შრომის შედეგით ტკბობაში. თავის საყვარელ სამუშაო გარემოში, მადონა პროფესიული გატაცებისა და სრულყოფის მაგალითია, რომელიც სხვებსაც შთააგონებს.

უნარების გაძლიერება და
დასაქმების ინოვაციური
შესაძლებლობები საქართველოს
რეგიონული განვითარებისთვის





ზოგადი ინფორმაცია:

პროექტის სახელი: უნარების გაძლიერება და დასაქმების ინოვაციური შესაძლებლობები საქართველოს რეგიონული განვითარებისთვის

პროექტის პარტნიორები: საქართველოს სტრატეგიული კვლევისა და განვითარების ცენტრი (CSRDG); ახალგაზრდა პედაგოგთა კავშირი (YPU); საქართველოს სამოქალაქო განვითარების ასოციაცია (GCDA)

ევროკავშირის დაფინანსება: 925,255 ევრო

პროექტის ვადები: 01.10.2020 – 31.01.2024

პროექტის მიზანი: გურიის, კახეთის და ქვემო ქართლის რეგიონების სოციალური და ეკონომიკური გაძლიერების ხელშეწყობა ადგილობრივი ადამიანური კაპიტალის განვითარებითა და შენარჩუნებით.

პროექტის ბენეფიციარები: დასაქმების, განათლებისა და ტრენინგების მიღმა დარჩენილი ახალგაზრდები ქალები (NEET ახალგაზრდები), შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები, ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლები, ობლები, შორეულ სოფლებში მცხოვრები ადამიანები და სხვა მოწყვლადი ჯგუფები.



ძირითადი შედეგები

საკვანძო უნარებში გაწვრთნილი სამუშაოს მაძიებლები: 1000-ზე მეტმა სამუშაოს მაძიებელმა ისარგებლა ტრენინგებით, გადამზადდა და განვითარა უნარები.

სამუშაოს მაძიებლები, რომლებმაც ისარგებლეს კარიერული კონსულტაციებით: 1000-ზე მეტმა სამუშაოს მაძიებელმა მიიღო ადგილობრივ საჭიროებებზე მორგებული სრული მომსახურება, დაწყებული კარიერული კონსულტაციით და დამთავრებული პროფესიული ცოდნისა და უნარების განვითარებით.

დასაქმებული სამუშაოს მაძიებლები: სულ დასაქმდა 319 სამუშაოს მაძიებელი.

პროფესიონალთა შესაძლებლობების განვითარება: პროფესიული შესაძლებლობები აიმაღლა 631 სკოლის მასწავლებელმა.

მხარდაჭერილი პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებები: თანამშრომლობა შედგა ხუთ პროფესიულ სასწავლებელთან, მათი ორგანიზაციული შესაძლებლობების გაძლიერების მიზნით.

დასაქმების ცენტრები: ოზურგეთში, ჩოხატაურში, ბოლნისში, თეთრიწყაროში, თელავსა და ლაგოდეხში დაარსდა ექვსი სწავლისა და დასაქმების მხარდაჭერის ცენტრი, რომლებიც წვრთნას, გადამზადებასა და უნარების განვითარებას სთავაზობს მსურველებს.

სკოლებისთვის შემუშავებული კლასგარეშე საქმიანობის მოდულები და პროგრამები: 28 სკოლაში დაფუძნდა იდეებისა და მეწარმეობის ლაბორატორია.

ახალი სახელმძღვანელოები და სხვა სასწავლო რესურსები/პუბლიკაციები: გრაფიკული დიზაინის, სოციალური მედიის მენეჯმენტის, ციფრული მარკეტინგის, front-end დეველოპმენტის და UI/UX დიზაინის მიმართულებებით შემუშავდა საგანმანათლებლო ტრენინგ-კურსები.

განხორციელებული ტრენინგები/ვორკშოპები: სწავლისა და დასაქმების მხარდაჭერის ცენტრებში ჩატარდა საჭიროებებზე მორგებული ტრენინგები.

სახელმწიფო და კერძო სექტორების თანამშრომლობა (PPP): სამიზნე რეგიონების ადგილობრივ ხელისუფლებასთან შედგა წარმატებული თანამშრომლობა.

დაფუძნებული სოციალური საწარმოები: დაფინანსდა სამუშაოთი ინტეგრაციის ხელშეწყობი ექვსი სოციალური საწარმო, რაც ხელს უწყობს ნაკლებკვალიფიციურ პირთა ჩართვას სამუშაო პროცესში და მათ დასაქმებას.

ბიზნეს პროექტების მხარდაჭერა: ორმა ბიზნეს პროექტმა მიიღო დაფინანსება სამიზნე რეგიონებში დასაქმების ახალი შესაძლებლობების შესაქმნელად, ასევე 23 მცირე გრანტი გაიცა სხვადასხვა ინიციატივების მხარდასაჭერად და შეიქმნა 35 ახალი სამუშაო ადგილი.

გაუმჯობესდა შრომის ბაზრის მონიტორინგის/საინფორმაციო სისტემა: შეიქმნა შრომის ბაზრის მონიტორინგის ინსტრუმენტები და შესაბამისი გაიღწიეს.



კარგი გამოცდილების მაგალითები

სწავლისა და დასაქმების მხარდაჭერის ცენტრები

სწავლისა და დასაქმების მხარდაჭერის ცენტრები (ცენტრები) ხელსაყრელი გარემო აღმოჩნდა სხვადასხვა ასაკისა და გამოცდილების მქონე მრავალი ბენეფიციარისთვის. თითოეული ადამიანის ინდივიდუალურ საჭიროებებზე მორგებულმა ცენტრებმა უზრუნველყო ურთიერთთავსებადი სერვისების მიწოდება, როგორიცაა კარიერული კონსულტაციები და წვრთნა საკვანძო უნარებში, ისევე როგორც გრაფიკულ დიზაინში, სოციალური მედიის მენეჯმენტში, ციფრულ მარკეტინგისა და სხვა სფეროებში.

ცენტრები წარმატებით თანამშრომლობდნენ ადგილობრივ ხელისუფლებასთან, რომელმაც ზოგ მუნიციპალიტეტში ენის კურსებიც დააფინანსა და ამგვარად ენის ცოდნის გაუმჯობესების დამატებითი შესაძლებლობა შეუქმნა ბენეფიციარებს. გარდა ამისა, ცენტრების ზოგიერთმა ბენეფიციარმა, ისარგებლა ადგილობრივი მუნიციპალიტეტის მხარდაჭერით ყვარელში საკუთარი ბიზნესი წამოსაწყებად.

ცენტრების კონსულტანტებმა მიაწოდეს საჭირო ინფორმაცია სამიზნე აუდიტორიას, ახალგაზრდებს საკუთარ თავში რწმენა და მოტივაცია ჩაუსახეს.

ჩოხატაურის ცენტრის ერთ-ერთმა ბენეფიციარმა, მაია კვირიკაძემ, ხაზი გაუსვა მის ცხოვრებაში უნარების განვითარებისა და დამხმარე ქსელის არსებობის მნიშვნელობას. ჩოხატაურში დაბრუნების შემდეგ, სამი მცირეწლოვანი შვილის დედამ მოახერხა საზოგადოებაში თავის დამკვიდრება კარიერული კონსულტაციებისა და წვრთნის წყალობით. მაიამ თავისი ჰობი მალევე აქცია სიცოცხლისუნარიან ბიზნეს საწარმოდ და საკუთარი ბრენდიც **#Nimani** დააფუძნა.



წარმატების ისტორია



1. თამარ კუპატაძე, 23 წლის ახალგაზრდა მეწარმე კახეთიდან, არის სექტორთაშორისი წარმატებული თანამშრომლობის მაგალითი.

თამარმა თავის ადგილობრივ ცენტრში გაიარა სამეწარმეო უნარების კურსი, და ამგვარად შეძლო ტურიზმის სექტორში საკუთარი საქმის დაწყება. ყვარლის მუნიციპალიტეტთან პარტნიორობითა და მწვრთნელების აქტიური ჩართულობით, გავლილი კურსის განმავლობაში მან შეიმუშავა ბიზნეს იდეა, დასაბა

მოზანი, გააკეთა ეკონომიკური გათვლები და შეიმუშავა განხორციელების გზა. კონსულტაციების შედეგად, მან მუნიციპალიტეტისგან მოიპოვა დაფინანსება საჭირო ინვენტარისთვის. პროექტის მხარდაჭერის წყალობით, თამარი ამჟამად ემზადება ტურისტებისთვის ღვინის მარნის გასახსნელად.

„მე ვარ თამარი, 23 წლის მეწარმე კახეთიდან, ვმუშაობ ტურიზმის სფეროში. კერძოდ, ვარ ღვინის მარნის შექმნის პროცესში, რათა ვუმასპინძლო ტურისტებს. ჩემი ბიზნესის განვითარებისა და გაფართოებისთვის, მუდმივად ვცდილობ განვაავითარო ჩემი სამეწარმეო უნარები.“

ამიტომ გადავწყვიტე მონაწილეობა მივიღო მეწარმეობით დაინტერესებული პირებისთვის ორგანიზებულ ტრენინგ კურსში. სწავლისა და დასაქმების მხარდაჭერის ცენტრის მიერ ჩატარებული ტრენინგი დამეხმარა ბიზნეს იდეების ჩამოყალიბებასა და საქმიანობის პროცესის წარმოდგენაში. ჩვენ ასევე ვიმუშავეთ მიზნებისა და ამოცანების დასახვაზე, გავაკეთეთ ეკონომიკური და ფინანსური გათვლები.

ამ ტრენინგის დახმარებით, გამოვიმუშავე თვითგანვითარების ფასდაუდებელი უნარები. რაც მთავარია, დავსახე პირადი და ბიზნესის ზრდის სწორი გზა. შევისწავლე ეკონომიკური და ფინანსური საკითხების მართვის ეფექტური მეთოდები, რამაც გამიჩინა ინტერესი მესწავლა ბუღალტერია. ამის შემდეგ, გავიარე დამატებითი კურსები ამ სფეროში, რადგან მიმაჩნია, რომ შეძენილი უნარები დამეხმარება ჩემი ბიზნესის უფრო ეფექტურად წარმართვაში.

პროექტის ან სერვისის შექმნა გულისხმობს პოტენციური მომხმარებლების ინფორმირებასაც. ამ დროს აუცილებელია მარკეტინგის პრინციპების გამოყენება. წვრთნის ფარგლებში გავიარე მარკეტინგის ვრცელი კურსი და ვისწავლე სოციალური მედიის ეფექტურად გამოყენება. მჯერა, რომ აქედან მიღებული ინფორმაცია დამეხმარება ჩემი მარნის რეკლამირებაში.

გარდა ამისა, ყვარლის მუნიციპალიტეტთან პარტნიორობით ჩატარებული ტრენინგ კურსის წყალობით, შევიმუშავე დეტალური ბიზნეს გეგმა და შესაბამისი ბიუჯეტი.

მიმდინარე პროექტის ფარგლებში ყვარლის მუნიციპალიტეტმა გადმომცა საჭირო მატერიალურ-ტექნიკური რესურსი. ამჟამად ვარ მარნის მშენებლობის ბოლო ეტაპზე, იქ განვათავსებ მოწოდებულ ინვენტარს და მომავალში ბევრ სტუმარს მივიღებ.

მინდა მადლობა ვუთხრა ცენტრის თითოეულ თანამშრომელს და ყვარლის მუნიციპალიტეტს ამ ურყევი მხარდაჭერისთვის.“



2. ლევან აფციაური - კარიერული განვითარების გამორჩეული მაგალითი.

პროექტის ფარგლებში თავისუფალი მუშაკის (ფრილანსინგის) კურსის დანერგვა, რომელიც საქართველოში უპრეცედენტო ინიციატივაა, მიმართულია სამიზნე რეგიონებში ადამიანური რესურსების განვითარებასა და შენარჩუნებაზე. შესაბამისად, ლევანმა დაასრულა ტრენინგ-კურსი „როგორ გავხდე თავისუფალი მუშაკი (ფრილანსერი) და დავსაქმდე დისტანციურად“, და დღეს ის უკვე დასაქმებულია.

ლევანის თქმით, კურსის დროს მან გაიგო თავისუფალი მუშაკის და სხვა მოთხოვნადი პროფესიების შესახებ. ტრენინგის დასრულების შემდეგ, მან გაიარა CSRDG-ის მიერ თანადაფინანსებული UX/UI, სარეკლამო ტექსტების წერისა და ინგლისური ენის კურსები, რამაც მას ახალი შესაძლებლობები მისცა.

„მე ვარ ლევანი თეთრიწყაროდან, კურსის „როგორ გავხდე თავისუფალი მუშაკი და დავსაქმდე დისტანციურად“ მონაწილე, იურისტი და სარეკლამო ტექსტების წერის (copywriting) სპეციალისტი.

ამ ტრენინგის წყალობით, შევიძინე ღირებული ცოდნა თავისუფალი მუშაკის შესახებ და შევისწავლე სხვადასხვა მოთხოვნადი პროფესიები. კურსი დამეხმარა გამეგო ბაზრის სპეციფიკური მოთხოვნები და სხვადასხვა პროფესიის უნიკალური ასპექტე-

ბი. ამ ცოდნით აღჭურვილმა, დავიწყე ჩემი უნარების, ინტერესებისა და პოტენციალის შესაბამისი სამსახურის ძებნა.

ბოლოს მაინც გადაწყვიტე გამეგრძელებინა სწავლა. ჩავირიცხე Smart Academy-ის UX/UI copywriting კურსზე, CSRDG-ის 70%-იანი თანადაფინანსებით. ეს გამოცდილება ბევრად მეტი აღმოჩნდა, ვიდრე უბრალოდ ტრენინგ პროგრამა, რადგან გავიმჯობევე წერის უნარები, ამასთანავე, შემოქმედებითი მუშაობისა და ტექნოლოგიების მიმართ ინტერესი აღმოვაჩინე ჩემში. პარალელურად, „ბექას სკოლაში“ გავიარე ინგლისური ენის კურსი, ამავე პროექტის თანა-სპონსორის მხარდაჭერით. ეს დამეხმარა კურსის წარმატებით დამთავრებასა და ინგლისური ენის ცოდნის გაუმჯობესებაში.

ამ კურსებმა მომცა მიზანი და მოტივაცია, რაღაც ახალი წამომეწყო. საჯარო სექტორიდან თავისუფალი მუშაკის სტატუსზე გადასვლის შემდეგ, თეთრიწყაროს ახალგაზრდულ ცენტრში დავიწყე მწვრთნელად მუშაობა, იურიდიულ და მომიჯნავე სფეროებში. მუშაობის დროს მქონდა ურთიერთობა როგორც ქართველ, ისე უცხოელ სტუდენტებთან.

ამჟამად ლატვიაში ვარ, საიდანაც დისტანციურად ვმუშაობ და ასევე მოხალისედ ვმუშაობ აქაურ სასჯელაღსრულების დაწესებულებაში. იქ ვატარებ ვორკშოპებს პატიმრებთან და საერთაშორისო გუნდის შემადგენლობაში ვასწავლი ინგლისურს უკრაინელ ლტოლვილებს.

ახლა ვხვდები, რომ თუ სურვილი გაქვს და მონდომება. ყველაფერს მიაღწევ. ჩემთვის შთაგონების დიდი წყარო იყო პროექტის მიერ უზრუნველყოფილი მხარდაჭერი და სტრესისგან თავისუფალი გარემო. აუცილებელია გჯეროდეს საკუთარი შესაძლებლობების... ამაში ძალიან დამეხმარნენ ცენტრების გამოცდილი კარიერული კონსულტანტები“.



ნინო ბანცაძე, 66 წლის ქალბატონი ლაგოდეხიდან, ამბობს: „არასოდეს არის გვიან ახალი გზის გაკვალვა; იყავით გაბეღული და თქვენი სურვილებიც ახდება.“

ლაგოდეხელი 66 წლის ნინო საქართველოში საზღვარგარეთ გატარებული 15 წლის შემდეგ დაბრუნდა.

ემიგრაციამდე ნინო მასწავლებლად მუშაობდა. საქართველოში დაბრუნების შემდეგ ის ჩაირიცხა ლაგოდეხის ცენტრის კარიერული

კონსულტაციისა და სამეწარმეო უნარების ტრენინგ პროგრამაზე. კურსის განმავლობაში მიღებული ცოდნითა და კონსულტანტების მხარდაჭერით, მან წარმატებით დააარსა საკუთარი საწარმო, სახელწოდებით „გვირისტულა“.

„გახლავართ ნინო ლაგოდენიდან, ვარ 66 წლის. საზღვარგარეთ 15 წლიანი ცხოვრების შემდეგ დავბრუნდი საქართველოში. ვოცნებობდი მქონოდა ჩემი საქმე აქ, ჩემს ქალაქში, ჩემს მშობლიურ მიწაზე. საქმე, რომელიც მიყვარს და ვფიქრობ, რომ კარგად გამომდის. ბევრს ვოცნებობდი სამკერვალო მაღაზიის გახსნაზე.

ერთ დღეს გავიგე ლაგოდენის ცენტრის შესახებ და მივმართე კიდეც ჩემი იდეების გასახიარებლად, თუმცა კი მეშინოდა, რომ წარმატებას ვერ მივადწევდი. ცენტრის კარიერული კონსულტანტების რეკომენდაციით, შევუერთდი ბიზნესის წამოწყების საწვრთნელ კურსს.

ჩემი შფოთვა გაქრა ტრენინგის პირველივე დღის შემდეგ. მწვრთნელების დადებითმა დამოკიდებულებამ, მარტივმა და გასაგებმა ენამ მოტივაცია და გამბედაობა შემძინა, მეზრდოლა ჩემი ოცნების გასახორციელებლად. მწვრთნელები ყოველთვის მზად იყვნენ ნებისმიერ კითხვაზე გაეცათ პასუხი, ხოლო მონაწილეები მხარს უჭერდნენ ერთმანეთის იდეებს. მეწარმეობის კურსის დროს შევიძინე საბაზისო ცოდნა იმის შესახებ, თუ როგორ უნდა მოვიქცე მომხმარებლებთან, როგორ განვსაზღვრო მათი ინტერესები და მოთხოვნები და როგორ გავყიდო ჩემი პროდუქცია.

კურსის დასრულების შემდეგ შევინარჩუნე კავშირი კარიერულ კონსულტანტებთან, რომლებმაც მომაწოდეს ინფორმაცია შესაბამისი საგრანტო კონკურსების შესახებ. მათი დიდი მხარდაჭერით, წარვადგინე პროექტის იდეა ერთ-ერთ საგრანტო კონკურსზე, მოვიპოვე დაფინანსება და შევძელი საჭირო რესურსების უზრუნველყოფა საკუთარი სამკერვალოს „გვირისტულას“ გასახსნელად 2023 წლის მარტში. „გვირისტულამ“ ჩემი ცხოვრება გააჩაღისა.

დღეს თამამად შემიძლია ვთქვა, რომ ჩემი ოცნება ახდა: მაქვს საკუთარი საწარმო, ვაკეთებ საქმეს, რომელიც მიყვარს, და ამაყად ვემსახურები ჩემს ქალაქს.

ლაგოდენის ცენტრის კარიერული კონსულტანტები რომ არა, ჩემი ოცნება ოცნებად დარჩებოდა.“

ახალგაზრდული
ტექნოლოგიური
კლუბების ქსელი





ზოგადი ინფორმაცია:

პროექტის სახელი: ახალგაზრდული ტექნოლოგიური კლუბების ქსელი

პროექტის პარტნიორები: ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი; საქართველოს ინოვაციებისა და ტექნოლოგიების სააგენტო (სააგენტო); ICT კლასტერი საქართველო; ინოვაციური განათლების ფონდი (IEF).

ევროკავშირის დაფინანსება: 656,000 ევრო

პროექტის ვადები: 19.11.2020 – 30.06.2024

პროექტის მიზანი: ახალგაზრდებისთვის საინფორმაციო ტექნოლოგიაში კარიერული გზის, ასევე ტექნიკური მეწარმეობის და დასაქმების შესაძლებლობების გაუმჯობესება საქართველოს რეგიონებში.

პროექტის ბენეფიციარები: ახალგაზრდები, ძირითადად საშუალო სკოლისა და პროფესიული დაწესებულებების სტუდენტები, საქართველოს რვა სამიზნე რეგიონში.



ძირითადი შედეგები

ტრენინგ-გავლილი სტუდენტები: საინფორმაციო ტექნოლოგიის სხვადასხვა პროგრამებში მომზადებულმა ტექნიკური კლუბების ბენეფიციართა საერთო რაოდენობამ გადააჭარბა 2,500-ს.

სამუშაოს მაძიებლები, რომლებმაც ისარგებლეს კარიერული კონსულტაციით: პროექტის მიერ ორგანიზებული კარიერის განვითარების 15 შეხვედრას დაესწრო 2,500-ზე მეტი სტუდენტი.

სამუშაოს მაძიებლები, რომლებმაც ისარგებლეს სტაჟირების პროგრამებით: საერთო ჯამში, ერთთვიანი სტაჟირების პროგრამა სამიზნე რეგიონებში 200 კურსდამთავრებულმა.

დასაქმებული ადამიანები: დასაქმდა 200-ზე მეტი სტუდენტი.

პროფესიონალთა შესაძლებლობების განვითარება: მწვრთნელთა წვრთნის კურსები გაიარა 138 მასწავლებელმა. ისინი გახდნენ ტექნიკური კლუბების მწვრთნელები.

მხარდაჭერილი ორგანიზაციები: 90 საჯარო სკოლაში და 10 პროფესიულ სასწავლებელში ხელი შეეწყო კოდირებისა და ტექნოლოგიური მეწარმეობის ახალგაზრდული კლუბების განვითარებას.

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების მხარდაჭერა: ათ (10) პროფესიულ დაწესებულებაში ხელი შეეწყო კოდირებისა და ტექნოლოგიური მეწარმეობის ახალგაზრდული კლუბების განვითარებას.

სკოლებისთვის შემუშავებული კლასგარეშე საქმიანობების მოდულები და პროგრამები: Tech Club-ის პლატფორმაზე დიად ხელმისაწვდომია 10 კურსი და ასევე, სასწავლო მასალები, პრაქტიკული დავალებები, ქვიზები, ვიზუალური მასალები და სტუდენტთა სახელმძღვანელოები.

100 ტექნიკური კლუბის მიერ შემუშავდა და განხორციელდა შემდეგი 10 ახალი საპილოტე კურსი:

1. WordPress Development
2. Tech Entrepreneurship
3. Programming with Python
4. Computer Graphics
5. 3D Modelling
6. UI/UX Design

7. Data Analytics (ატვირთვის პროცესშია)
8. Front-end Development
9. App Development
10. Data Visualization

შემუშავებული სახელმძღვანელოები და სხვა სასწავლო რესურსები/პუბლიკაციები: მიმდინარეობს სასწავლო პროგრამების, მასალებისა და ვიდეოების განახლება და გადახედვა, რათა ისინი მაქსიმალურად შეესაბამებოდეს მოსწავლეთა საჭიროებებს.

შემდგარი ფორუმები: ჩატარდა 61 რეგიონული კონკურსი, ჰაკათონი, შეხვედრა და კონფერენცია.

შემდგარი ტრენინგები/ვორქშოპები: მწვრთნელებისთვის, მასწავლებლებისა და სტუდენტებისთვის ჩატარდა მრავალი ტრენინგი/ვორქშოპი.

შემდგარი დასაქმების ფორუმები: პროექტის ფარგლებში მოეწყო თექვსმეტი (16) დასაქმების ფორუმი.

საჯარო და კერძო სექტორების თანამშრომლობა: სახელმწიფო ინსტიტუტებსა და ბიზნეს ორგანიზაციებს შორის შედგა წარმატებული თანამშრომლობა, ICT კლასტერ საქართველომ საკუთარი წვლილი შეიტანა პროექტის ბენეფიციართა ბიზნეს სექტორთან დაკავშირებაში.



პარტი გამოცდილების მაგალითები

მწვრთნელთა წვრთნა

პროექტის განმავლობაში ორჯერ ჩატარებული მწვრთნელთა წვრთნა ფასდაუდებელი აღმოჩნდა. მწვრთნელთა პირველი წვრთნა ემსახურებოდა პროექტის მეორე წყებას. სასწავლო პროგრამების ავტორები შეხვდნენ ახალ და უკვე გამოცდილ მწვრთნელებს. შეხვედრის მიზანი იყო ყველა მენტორისა და მწვრთნელისთვის თანაბარი შესაძლებლობების უზრუნველყოფა, რათა მათ სწორად გაეგოთ კურსის განმავლობაში მოწოდებული მასალები და შემდეგ გამოეყენებინათ დანიშნულებისამებრ. მწვრთნელთა წვრთნა მოიცავდა შემდეგ სფეროებს: WordPress; ტექნოლოგიური მეწარმეობა; კომპიუტერული გრაფიკა; 3D მოდელირება; და UI/UX დიზაინი (ხანგრძლივობა სამიდან ათ დღემდე).

მესამე წყებისთვის, გამოცხადდა ღია კონკურსი მწვრთნელთა წვრთნაში მონაწილეობაზე. სულ შემოვიდა 250 განაცხადი და შეირჩა 138 მსურველი. კანდიდატების შერჩევა მოხდა სასწავლო გამოცდილების საფუძველზე. შერჩეულ პირებს მიეცათ ერთზე მეტ კურსზე დასწრების შესაძლებლობა, იმის მიუხედავად, თუ რომელ პროგრამას ასწავლიდნენ წლის განმავლობაში. მწვრთნელთა წვრთნის დასრულების შემდეგ, შეირჩა 26 ახალი მწვრთნელი. ეს ადამიანები შემდგომ ჩაატარებენ ტრენინგებს ტექკლუბებში, მათ რეგიონში არსებულ სკოლებსა და პროფესიულ სასწავლებლებში. აღსანიშნავია, რომ მწვრთნელთა წვრთნის პროგრამებმა საშუალება მისცა ინსტრუქტორებს, რომლებსაც არ ჰქონდათ კლუბებში სწავლების გამოცდილება, დასაქმებულიყვნენ თავიანთ რეგიონში. ამ ინიციატივებმა განაპირობა სხვადასხვა რეგიონში, ადგილობრივი მწვრთნელების ჯგუფის ჩამოყალიბება, რომლებიც მზად არიან დაეხმარონ ადგილობრივ დაინტერესებულ მხარეებსა და პირებს ტექნოლოგიური კომპეტენციების გაუმჯობესებაში.

კონფერენციები მწვრთნელებისთვის

ახალგაზრდული ტექკლუბების პროექტის ფარგლებში, მწვრთნელებისთვის გაიმართა ორი კონფერენცია. კერძოდ, პროექტის ჯგუფმა მოაწყო მასწავლებელთა სამდღიანი კონფერენცია, სადაც ტექკლუბების ქსელის მწვრთნელებს და რეგიონულ კოორდინატორებს ჰქონდათ საშუალება გაცნობოდნენ სტუდენტებისთვის არსებულ შესაძლებლობებს. ტექკლუბების პლატფორმის მწვრთნელებმა ისწავლეს ონლაინ კომუნიკაციების სწორად გამოყენება ტექკლუბების ქსელთან მუშაობისას, ასევე გონების სავარჯიშო საქმიანობისა და შესაბამისი საგანმანათლებლო პრაქტიკის შემუშავება. მათ ასევე შეძლეს ერთმანეთისთვის პირველი სასწავლო წლის გამოცდილებისა და გამოწვევების გაზიარება, და მომავალი დაბრკოლებების დაძლევის გზებზე დაფიქრება.

გარდა ამისა, მეორე წელს ჩატარებულმა ტრენერთა კონფერენციამ გააუმჯობესა მწვრთნელთა წვრთნის კომპონენტი და მწვრთნელებისგან უკუკავშირი მოითხოვა, თუ როგორ უნდა გაეუმჯობესებინათ ტექკლუბების პლატფორმის პროგრამები. ახალ წევრებს შეეძლოთ განეხილათ სასწავლო მასალები, სანამ თავად დაიწყებდნენ ტექკლუბების პროგრამებსა და საქმიანობებს. ცოდნის გაზიარების გარდა, ამ ტრენინგებმა ხელი შეუწყო უნარების გაუმჯობესებას ეფექტური ონლაინ კომუნიკაციის, დიზაინერული აზროვნების და საგანმანათლებლო პრაქტიკის სესიების მეშვეობით. კონფერენციებმა ასევე ხელი შეუწყო 'მწვრთნელთა თემის' ჩამოყალიბებას, დაეხმარა პროექტში ჩართულ პირებს ერთმანეთთან მჭიდრო კავშირის დამყარებასა და სამომავლო პროექტების დაგეგმვაში, რაც პროექტის მდგრადობის საწინდარია.

რეგიონების გაძლიერება და საშუალო სკოლის მოსწავლეების ჩართულობა

პროექტის დაწყებამდე, სამიზნე რეგიონებში არსებობდა მნიშვნელოვანი გამოწვევები, რომლებიც დაკავშირებული იყო ახალგაზრდების მცირე ჩართულობასთან, შესაბამისი რესურსების ნაკლებობასა და სასწავლო კურსების არარსებობასთან. საშუალო სკოლის მოსწავლეები განსაკუთრებით პასიურნი იყვნენ, მათ შეზღუდული

კავშირი ჰქონდათ საქართველოს ინოვაციებისა და ტექნოლოგიების სააგენტოს ტექნოპარკებთან.

პროექტის დაწყების დღიდან, ერთობლივი ძალისხმევის წყალობით, სამიზნე რეგიონებში შეიქმნა კომუნიკაციის ეფექტური ქსელი. ამან განაპირობა გაზრდილი ჩართულობა და კავშირი საშუალო სკოლის მოსწავლეებსა და ტექნოპარკებს შორის, რამაც, თავის მხრივ, მნიშვნელოვანი როლი ითამაშა მრავალი ტექნოლოგიური კურსის შესახებ ინფორმაციის გავრცელებაში. შედეგად, მნიშვნელოვნად გაიზარდა სტუდენტების ჩართულობა.

პროექტით დაინტერესებული კლუბის წევრები ახლა ყოველდღიურად სტუმრობენ ტექნოპარკებს, და გატაცებით ერთვებიან სააგენტოს მიერ მხარდაჭერილ სხვადასხვა ტექნოლოგიურ კურსსა თუ პროექტში. კურსები მოიცავს ფართო სპექტრს: Hardware Startup Incubator, Code IT, Lego Robotics, და სხვა. კურსების ჯაჭვური რეაქცია აშკარაა; კოლექტიურმა იმპულსმა გააცოცხლა ადგილობრივი რეგიონული ეკოსისტემა და ხელი შეუწყო სკოლებისა და ახალგაზრდების მჭიდრო თანამშრომლობას ტექნოპარკებთან. ამ დადებითი ტენდენციის საპასუხოდ, სააგენტომ მოამზადა მრავალი ინდივიდუალური პროექტი, მათ შორის ტრენინგ-კურსები, ჰაკათონები და საჯარო შეხვედრები, რომლებიც საგანგებოდ მორგებული იყო პროექტის სამიზნე აუდიტორიის საჭიროებებს.

ამ თანამშრომლობამ რეგიონულ დონეზე ჩამოაყალიბა მოქმედი ტექნოლოგიური ცენტრი, რაც წარმოადგენს მნიშვნელოვან წინ გადადგმულ ნაბიჯს პროექტის მთავარი მიზნების მისაღწევად. აღსანიშნავია, რომ კლუბებს თავიდანვე ჰყავდათ აქტიური წევრები, რომლებიც ჩართულნი იყვნენ პროექტის საქმიანობებში და ახლა ისინი ეხმარებიან ტექნოპარკებს სკოლის მოსწავლეებისთვის სხვადასხვა სასწავლო კურსის ჩატარებაში.



ნარმატივის ისტორია



აკაკი ფერცულიანი

რამდენიმე წლის წინ რთული წარმოსადგენი იქნებოდა 18 წლის მოსწავლე საკუთარ სკოლაში მასწავლებელი გამხდარიყო, თუმცა საინფორმაციო ეპოქამ ბევრი სტანდარტი შეცვალა. მოზარდი აკაკი ამის ნათელი მაგალითია, ის წარმოსადგენს სკოლას, რომელიც ზრუნავს ბავშვებისა და მთელი ქვეყნის ტექნოლოგიურ მომავალზე.

წამყვანი და მწვრთნელი

აკაკი ჯერ კიდევ მეშვიდე კლასის მოსწავლე იყო, როცა უკვე შექმნილი ჰქონდა რამდენიმე თამაში. ზუსტად ამ დროს, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტმა დაიწყო პროექტი «ახალგაზრდული ტექნოლოგიური კლუბების ქსელი», ევროკავშირის მიერ დაფინანსებული განათლება დასაქმებისთვის პროგრამის ფარგლებში. პროექტმა მოიწვია სკოლები საქართველოს რვა რეგიონიდან, რათა მოემზადებინათ მოსწავლეები კოდირებისა და ტექნიკური მეწარმეობის სფეროში. წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ ფარცხანაყანევის მამია ფანცულიას სახელობის მე-2 საჯარო სკოლამ აირჩია კურსი „პროგრამირება Python-ით“.

„Python არის მნიშვნელოვანი პროგრამირების ენა, რომელიც გამოიყენება ბევრ სფეროში - რობოტის პროგრამირება იქნება თუ ვებ განვითარება. თავიდან პროექტის წამყვანი ვიყავი, ჩემს მოვალეობაში შედიოდა მოსწავლეთა დასწრების უზრუნველყოფა და მათი მოტივირება, ასევე ლაბორატორიის ტექნიკური მომსახურების უზრუნველყოფა. თუმცა, მცირე დროის შემდეგ, მთხოვეს გამხდარიყავი ტრენერი. თავიდანვე ვგრძნობდი, რომ მეტი შემეძლო, რადგან ბევრს ვსწავლობდი და მუდმივად ვვითარდებოდი. შემდგომ გავიარე პროგრამირების ტრენინგი და ცოდნაც დამიფასდა. ამჟამად ბავშვებს ვასწავლი პითონს და ვებ განვითარებას“, - აღნიშნა აკაკიმ.

ახლა უკვე 19 წლის აკაკი გრძნობს თანამედროვე სამყაროს ტექნოლოგიურ ტემპს და სრულად აცნობიერებს ახალ რეალობასთან ადაპტაციის აუცილებლობას. ჯერ ბოლომდე ნათელი არ არის, რა მომავალი ელის აკაკის, თუმცა ერთი რამ უდავოა: ეს დაკავშირებული იქნება სწავლასა და სწავლებასთან.

დღესდღეობით, ფარცხანაყანევის მამია ფანცულაიას სახელობის მე-2 საჯარო სკოლა არის ნათელი მაგალითი იმისა, თუ როგორ შეიძლება მოხდეს ტექნოლოგიური ცვლილება საქართველოს საჯარო სკოლებში.

იმავედროულად, შიდა ქართლის, კახეთის, იმერეთის, აჭარისა და სამეგრელოს საჯარო სკოლებს ჯერ კიდევ შეუძლიათ ევროკავშირის „ახალგაზრდული ტექნოლოგიური კლუბების ქსელის“ პროექტში ჩართვა და ტექნოლოგიური კლუბების გახსნა.

დამატებითი ინფორმაციის მისაღებად, იხილეთ ქვემოთ მოცემული ბმულები:

- Learning to Teach
- On.ge
- Epilogi.ge
- Iliuni.ge
- Etaloni.ge



იაკობ სამუკაშვილი

იაკობ სამუკაშვილი სტეპ აკადემიის კვალიფიციური მწვრთნელია, მიუხედავად იმისა, რომ ჯერ კიდევ საშუალო სკოლის მოსწავლეა. უფრო მეტიც, მას უკვე აქვს საკუთარი სტარტაპ ბიზნესი.

აღსანიშნავია, რომ იგი იყო „ახალგაზრდული ტექნოლოგიური კლუბების ქსელის“ პროექტის ბენეფიციარი.

იაკობი ახმეტის ინოვაციების ცენტრის აქტიური წევრია, სადაც ის დაუფლავად მუშაობს საკუთარი უნარ-ჩვევების გაუმჯობესებაზე და სწავლობს ახალ ტექნოლოგიებს.

სწავლის პარალელურად, იაკობი საკუთარ გამოცდილებას ცენტრში მოსულ ახალგაზრდებს უზიარებს, აძლევს მათ საბაზისო ცოდნას და რეკომენდაციებს შემდგომი სწავლისთვის.

დამატებითი ინფორმაციის მისაღებად, გადადით ქვემოთ მოცემულ ბმულებზე:

- Knews.ge
- Etaloni.ge
- <https://www.beesbid.com/>